# ცისკარი

# 1861

## ნოემბერი.

წელიწადი მეხუთე.

## წოდება თხზულებათა:

I. —რედაქციისაგან განცხადება. . . რედაქტორისა.
—ქაცჳა მწყემსი. . . . . . თ. დ. გურამიშვილისა.
II. —ლექსები სხჳა და სხჳა მწერლებისა.
III. —ქართჳელების ძჳელი დრო. . თ. ალ. ორბელიანისა.
IV. —კახეთში მოგზაურობითგან. . იგ. კერესელიძისა.
V. —ადგილმამულის მართჳა. ვაზის ჩაყრა და მისი განმრავლება.—ხეხილების მოვლა. . . . . . . . თ. ხოლ. გურგენიძისა.
IV. —სხჳა და სხჳა ამბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## რედაქციისაგან.

მომავალს წელს ჩვენი «ცისკარი» გადადგამს მეექვსე წელიწადში. როგორის ღირსებით გამოიცემოდა აქამომდე, როგორის მეცადინეობით, უკვე მოეხსენებათ მკითხველთა. ამასთანავე მოეხსენებათ, რომელ ამ გვარი საზოგადო სასარგებლო საგანი, წვრილ წვრილად მივალს წარმატებაში და არა უცებ. ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა აქამომდე სტანბის მომართულებას. ამ ხუთის წლის განმალობაში, უფრო კეთილის-მომწერთ ღონისძიებით, მოვიწერეთ ანგლიიდგან საბეჭდავი მაშინა, ახლა როგორც ხედამენ საყვარელნი მკითხველნი დავიბარეთ ს. პეტერბურღის აკადემიითგან ასოები, რომელიაც გვქონდა

დიდი ნაკლულევანება. ვიმედოვნებთ, მომავალის იანვრითგან გამოიცეს ჟუნალი უკეთ, ქართველთ საზოგადოების დასმარებით.

რედ კერესელიძე.

---

# ქაყჳა მწყემსი.

(განგრძელება)

ცოლმან მიუთხრა: რამ დაგაფიქრა,
შენ შეგემთხვია ან აქ, ან იქ რა?
კაცმან თქუა მიკჳრსო,
სათქმელად მიჭირსო,
რაც ვნახე სიზმრად.
მიცვალებულნი მამა და დედა
ორნივ ჯავრობდნენ მედა შენზედა,
შჳლმა და რძალმაო,
გვტანჯა გვაწამაო,
სიმჳრითაო...
აღარ მოგვიგდეს თვალი და ყური,
მათ არ გვაჭამეს ჩუენ ლუკმა პური,
კმა მაღლა ყიოდენ,
სიკუდილთან ჩიოდენ,
სამართალს სთხოვდენ.

განესამართლა, მათთჳს სიკჳდილსა,
ჯერ რმალსა ვჰკითხავთ, მასუკან მჯლსა,
იმათ თქჳენ საჭმელი
ანუ თუ სასმელი,
რათ დაგიჭირეს.
მე შავესვეწე უთხარ: ნუ სჩივით,
გამოგიგზავნით, წყლით, ნავით, ტივით,
სამის დღის ბორჯითა,
დიდისა სასჯელითა,
მძლივ დავესწრივე.
ამ სამს დღეშია ჩემს დედმამასა,
ჩჳენ თუ არ უზამთ ალაჰს ჭამასა,
წამოვა სიკჳდილი,
ცელ კმალ ამოწვდილი,
შინ მოგვისდება.
ჯერ შენა გკითხავს მას საკითხავსა,
პასუხს ვერ მისცემ შენ მოგჭრის თავსა,
მასუკან მე მკითხავს,
ვიმართლებ მეკი თავსა,
შენ დაბრალდება!

ცოლმან მიუგო შენს საქმეს ვჰკჳრობ,
შენ მისთჳს სიკუდილს რასთჳს მიჰირობ,
ცხვარ, ძროხა გყავს ბევრნი,
სავსე ღჳნით ქუევრ,
გიდგას ფქჳლი ბეღლით.
რატომ აჩივლებ შენს დედ მამასა,
რატომ არ უსამ ალაპს ჭამასა?
მაქუს პური დამცხვარი,
აწ შენ დაკალ ცხვარი,
მოხადე ქვევრსა.
მალე ქენ საქმე ნუღარ აყენებ,
კარზედ სიკუდილსა ნუ მამაყენებ,
თუ არ კმარა პური,
დამეც შენ დასტური.
მე გამოვაცხობ.
ქმარმან ცოლისა სიტყუა გაკმარა,
ოცი პური გაქუს ეგ. რასა კმარა,
ცოლი ადგა ჩქარა,
მან აღარა თქუარა,
შექნა პურს ცხობა.

წამოდგა კაცი, რაც რომ ენითა,
ტვინი დატენა კარგის ღჳნითა,
ჰყვანდა ნაჩუქარი,
კარგი ნასუქარი,
დაკლა ფურ ბერწი.
ორი ცხრა ცხვარი, ოცი ბატკანი,
გასწყჳტა ბატი კმა, ქათამთ კაკანი,
სასმელ, საჭმელი,
სანთელი, საკმელი
ჩანაწყო ნავში....
მღჳდელთ უთხრა: საქმე მზათ დაიჭირეთ,
როცა მოვიდეთ მაშინა სწირეთ.
ჩასხა ნავს ხარჯთანა.
ატანა მას თანა,
მზარეულითურთ.
სადაც იმ ბიჭის საქმე მან ნახა,
მის ახლო სიყდარს მამა ემარხა.
იქ გაისტუმრა,
ყველა იქ ისტუმრა,
ვინც რომ უნდოდა.

მან მოუწოდა, სულ მეზობელთა,
ბიჭის და გოგოს შემქნელ მშობელთა,
მან დაუკრა თავი,
უთხრა მზათ მაქჳს ნავი,
მეწჳვენითო.
ბიჭის დედ მამამ კაცი გალანძღეს,
თქჳენს; მტრის ალაგში ვინ მშლელი გაძლეს,
შენ მოგვპარე ცხვარი,
პური გამომცხვარი,
ღჳნო და თასი.
თასი გთხოვეს და შენ არ მიეცი,
მჳლსა და სასმლოს ორთავ გვიეცი.
ტანსა ეც ღიჭი.
ეკლით გოგო ბიჭი,
შენ დაგვილასხე.
ჩჳენ ვერ მოვითმენთ გულის ტკივილსა,
ხვალ ჩჳენ ვაპირობთ შენზე ჩივილსა,
არსად წახჳდე,
უნდა შენ მოხჳდე,
სამართალშია.

კაცმან გონება არ აღაჩქარა,
წინა აღმდგომი მან არა თქჳარა,
ჩუმად თავის წინა,
გულში გაიცინა,
ბიჭის ტყუილზედ.
მან კაცმან უთხრა ბიჭის მამასა;
გთხოვ ყური უგდო რაც ვსთქჳა, ამასა,
ჯერ ნუ ასჩქარდები,
შენ ნუ გასჯავრდები
გაუშინჯავათ.
ყველას მოვითხრობ ჩემის პირითა,
ჭირში ჩავარდი, რასაც ჭირითა,
რასაც მიზეზითა,
ან რასაცა გზითა.
მე ვქენ ქურდობა.
მე სხჳაგან ვიყავ, რა მოველ შინა,
სახლში დამისჳდა მე არავინა.
მე ასე მშიოდა,
რო გული მტკიოდა
მეტის შიმშილით.

მე შენს სახლშია, სმისა ჭამისა,
აგრეც კმარება ჭურჭელ ჯამისა,
მაქჳნდა ჩჳეულება,
ხშირად წვეულება,
გარდამხდომოდა.
წამოველ შენსას შემოველ შინა,
ავად მყოფს მამას შენსას ეძინა.
მე ლამიკჳდა შინა,
აქაც არავინა,
მარტო მის მეტი...
მას გაღჳძება ვერ გაუბედე,
მიველ კიდობნად უკუ ვიხედე,
თასსა და სამს ჰურსა,
ხალჳნისა ყურსა,
დავავლე ჴელი.
გამოვიტანე ჩავდგი ურემში,
შევაბი კარი მე წაველ ტყეში,
შეშისა საჭრელად,
ღჳნის სმით თვალ ჭრელად,
მიველ ჭალასა.

რა რომე ღჳნო თავში შემიჯდა,
ჰურით რომ გავმეს კორციც მამინდა,
კორცისა ნდომითა,
ადგომ დაჯდომითა,
ღონე წამერთვა.
მაგ შენს შჳლს ჰყვანდა მუნ საცხოვარი
მიველ და ვსთხოვე ეს სათხოვარი:
აგრემც გაგზრდის ღმერთი,
ნაჭერიმე ერთი
მაჭამე კორცი.
გუდა მიჩვენა და კელცახოცი,
მითხრა წაიღე თუ მაქჳნდეს კორცი.
დაუკარ მას თავი:
მე უთხარ მაშ შავი
ჭედილი დავკლათ.
ცოტა რამ ჩუენ აქ მწვადად შევიწოთ
სხუა სულ საღამოს შინა წავიღოთ,
თქუა ვერ გავბედაო,
მამა და დედაო
გამიწყრებაო....

აღარა ვსთქჳრა, ჩემთჳს დავჩუმდი,
სად შემას ვსჭრიდი, იქავ გავბრუნდი,
სად სმოვდა ჭედილი,
კორცით დაუმედილი,
წავაწყდი ზედა;
წამოვეპარე დავავლე ჴელი,
მაშინვე დანით გამოვჭერ ყელი.
რა გავხადე ტყავი,
კაჭკაჭი და ყვავი
სულ ზედ მომატყდა.
რა გამოვშიგნე, ცეცხლი ავანთე
მწვადი დაუდევ, შენს შჳლს მივმართე,
მას უთხარ: წამოდი
ჩუენა ვჭამო მწოდი
მითხრა; ვინ მოგცა?
გამოუცხადე, არ დაუფარე,
უთხარ: მე შენა ცხვარი მოგპარე,
მწვადი წამოვაგე,
მე მაქუს სანოვაგე
მოდი შევექცეთ.

შემომიმახა რას მეხუმრები,
მე დასაკლავნი სად მეყვანდა ცხვრები,
შექნა მან ტირილი,
თავს ცემა ყჳრილი,
მამას რა უთხრა?
უთხარ, მაგაზე შენ რა გაწუხებს,
მამაშენს თჳთ მე გავსცემ პასუხებს,
მივიყვანე დავსვი,
ვაჭამე და ვასვი,
განვაძღე კარგა....
როცა დაითრო, აიღო თასი
მითხრა: ამ თასში მოგვეც რა ფასი,
ამდენი ქურდობა
და არ დაუნდობ,
შენ არ შეგრჩება.
მე უთხარ: მმაო! რაც მამიპარავს,
თვალით ჩანს ყველა არ დამიფარავს,
თუმცა მამეპარა
მკამდა დამეფარა
შენთჳს ესენი.

რაცმე მიუთხარ არ დამიჯერა
საცემრად ჯოხი მან მამიღერა,
მით მე ამიჩქარდა
გული გამიჯავრდა,
ვერ მოვითმინე.
თასი წავართვი, სახრეც უცსუნე
თავ პირი სისხლით გარდაუთსუნე,
მოეშველა ცოლი,
ჯერ არ თანა მწოლი,
სჯულიერებით.
იმას საჯდომზედ დავჰკარ ეკალი,
უთხარ: შენ რა გრჯის, ჯერ შენ ხარ ქალი,
რად არა გრცხვენიან,
როდისა გშვენიან
ჯერ ეგ საქმენი.
შენ შჳლს მიმახდი, მე მჩამდი მამად,
ამად მოგექეც ასე თამამად,
შენს უკითხავადა,
საქმე ვქენ ავადა,
დავიკალ ცხვარი...

ბევრჯელ მიცოდავს შენ შეგინდვია,
დიდს საწყენზედაც თავს არ გიდვია,
გთხოვ ესეც შემინდო,
და არა გამყიდო
ცოტას საქმისთჳს.
უპატიური რაც შჳლს გიკადრე,
ბოდიშს მოვიხდი ხვალ დილას ადრე,
გიზღვავ მე შენ ცხვარსა,
პურსა გამომცხვარსა,
თასსა და ღჳნოს.
აწ წამობრძანდით ნუ მალოდინებთ
თქუენის გაყრითა ცრემლს ნუ მადინებთ,
მიუთხრა ტკბილადა,
ნუ გამსდით წბილადა
თქუენ ამისათჳსო.
ბიჭის მამამ თქუა; დღეს დაგვაცალე
ჩუენ მოვიფიქრებთ წამოვალთ კვალე,
შევიტყობთ მართალსა
შჳლს ვკითხავთ და რძალსა,
მაგ შენს ნათქუამსა.

რასაც შენ ანბობ თუ მართალია,
შენი ყოფილა ჩუჱნზედ ვალია.
ჩემს შჳლს უმტყუვნია,
რაც შენთჳს უვნია,
რად არ გისმინა?
კარიც დავუკლო არას გეტყოდი.
თუ არ მისდევდი მე არას გთხოვდი,
არამც თუ შენ ცხვარსა
პურსა გამომცხვარსა,
არ დავითმობდი...
ესაქმე ავად მე გამაშინჯეს,
სიმართლის სამძღვარს მათ გარდაბიჯეს,
მომითხრეს მრუდადა,
მაჯავრეს ცუდადა,
ამას არ დავსთმობ.
შჳლსა და სასძლოს ორსავ გავჯობსავ,
მათის ცემითა გულს მოვიოხავ,
რად არ დაგიჯერეს,
ჯოხი რად გილერეს
რად შემოგკადრეს!...

კაცი წამოდგა, დაუკრა თავი,
უთხრა: რაც გცოდე, თუ შენ ხარ მინავი,
სულ ყველა გადადევ,
ნუღარას დასდევ,
ადექ წავიდეთ.
თუ მათ დალასავ მაზყზით ჩემით
გული დამეწჳს მე მათის ცემით,
არა იცის საკადრი,
ექნების რა ყადრი
კაცისა ყმაწჳლს.
მე მისთჳს შენს შჳლს არას ვემდური,
არცარა მაქვსრა მე საყვედური.
საქმე ვქენ ავადა,
მე ვარ ჴირშავადა
შენთან და მასთან
შჳლსა და სასმლოს ტკბილად ხმა გაეც,
იქ წამოსვლისა დასტური დაეც.
სასმლოს დედმამა,
სადაც მაქჳს ჭამა
იქ იქნებიან...

თქჳჱნის ჯალაბით ვითხოვ მობრძანდეთ,
ამისგან უფრო არ დაგვიანდეთ,
ხვალ მღჳდელნი გვიცდიან,
რიგს არ გარდიხდიან
სანამ არ მივალთ.
ბიჭის მამამა აღარა თქჳარა,
ქელი ერთ ჰირათ კაცს გაჰყვნენ თანა,
ნავითა ტივითა,
კარგის ჰატივითა
წავიდნენ წყლითა.
მეორეს დღესა ნავით გარდასხდნენ
მომზადებულნი მათ მღჳდლები დახჳდნენ.
ქაცი მღჳდელს გაენდო,
გულშია რაც ედო,
ყველა მიუთხრა.
რაც რომ ენახა გოგო ბიჭისა
ქალაქში ყოფნა, და შეცეევისა,
მალვითა, ჰარვითა,
სიტყჳსა ფარვითა
გამოუცხადა.

მღჳდელს მაესხვეწა: ნუ ეტყჳ ერსა,
ნურც მოყჳარესა და ნურცა მტერსა,
მარტო შენ იცოდე,
ეს საქმე იცოდვე,
უშველე რამე.
ბიჭის მამასა არა ჰსცალიან,
დედა მოუკჳდა გლოვობს ძალიან,
მამაც ჰყავს ავადა,
გახდა ძვალ ტყავადა,
მალე მოკჳდების....
რაც მერგებოდა აწ მე ჩემ წილად,
მე დღეს მზათა ვარ მის საქორწილათ.
მე მისთჳს ვქენ ხარჯი,
რასაც თქჳენ გაგრჯი,
მოგართმე ფასსა.
მეკი ნუ გამცემ რაც მოგახსენე,
წირვას უკანა თჳთ განახსენე,
ჩემი არა სთქჳარა.
მოსწრაფეებით ჩქარა,
თჳთ ბძანეთ სწავლა.

საყდარს წირვაზე შემოკრებიან,
მათი დედ მამაც აქ იქნებიან,
ბიჭს, გოგოს მდომარეს
ერთა და მდგომარეს
ნახავთ თვალითა.

მის დროს უბრძანეთ მათ დედ-მამათა,
რად ჯვარს არ დასწერთ აწ თქუენ ამათა,
მიზეზს იტყჳან,
არისო მით გვიან
მათი ქორწილი.

თუ მოგახსენონ სიმგლოიარით:
მისად პასუხად თქუენ ეს უთხარით:
საქმეს ვიქ ამ გვარსა,
დღეს დავსწერ მათ ჯვარსა,
შორს ნუ დაიჭერთ.

მღუდელმან მიუგო გეტყჳ მომღერულებ
მაგ შენს საწადელს სულ აღვასრულებ,
ჯერ ჩუენ დაფარვითა,
მალვით, გაპარვითა,
ამას ვეცადნეთ...

იქ წავიყვანოთო გოგო და ბიჭი,
სადაც ჰქონიათ შექცევა.....
იმათაც ვკითხავ,
წიგნსაც წაუკითხავ,
შეგინებულსა.
კაცმან მიუგო; აქ მომიცადეთ,
ბიჭს შემოვგზავნი, მას ჰკითხეთ სცადეთ,
მას უბრძანეთ ყველა,
რაც იმისთჳს შველა,
გწადიან თქუენა.
კაცმან იდუმალ ბიჭს აცოდინა,
მღუდელი კიმახის საყდარსა შინა,
ის ბიჭი წავიდა,
საყდარში შავიდა,
მარტო მღუდელთანა.
მღუდელმან ბიჭს უთხრა: მე შენ ბედსა გწამ,
დღეს ჯვარსა დაგწერ, შენს ცოლთან დაწვამ,
ბიჭი კელს ემთხჳა,
მუსლსა მოეხჳა,
მღუდელს მოახსენა:

ვით აღსრულდების თქუენი ბრძანება,
ჯერ სამაგისოდ დედ მამათ ნება
არა ჩანს ჩუენთჳსა,
რომე შეგვეთჳსა
ჩუენ ერთმანერთი.
მღუდელმან მიუგო: დედ მამათ ნებას
მე გამოვიტან ვამცნებ მათ მცნებას,
შენ შენთჳსა იყავ.
პირიცა დაიყავ,
ნურავის ეტყჳ.
ნურცა დედასა, ნურცა მამასა,
ნურავის ეტყჳ საქმეს ამასა,
შენ ნურაზე სწუხარ,
საცოლოსკი უთხარ,
მალვით ყურშია.
თქუენ ეს საქმენი ნუ გაქუსთ საჭოროთ,
გაიპარენით სადაც........
ქაცჳ და ეკალი
შენ და ეგ ქალი,
ორნივ იქ დამსუდით.

ჯერ თქუენ ლოცვასა იქ წაგიკითხავ,
უნდიხარ თუ არა, ქალსაცა ვკითხავ
მასუკანკი ვსწირავ,
საქმეს გავპირავ,
თქუენ დედმამასთან!...
როგორც რომ მღუდელმან ბიჭს დააბარა,
ბიჭმა საცოლო მუნ განაპარა,
მღუდელი და ის კაცი,
სად იყო ის ქაცჳ,
ოთხნივ მუნ შეკრბენ.
ოდეს თქუა მღუდელმან, კურთხეულ ხარხ,
კაცს გაეცინა მღუდელმან თქუა რა არხ?
რა მწამე შენ ცილი,
რადა გაქუს სიცილი.
რა მაინახე.
კაცმან მიუგო; ვით ალუთქუენი,
ამ ალაგს მისუდა კურთხევა თქუენი,
იყო დალოცჳლი,
გამხსენდა სიცილი,
მით მომივიდა....

როცა რომ მღვდელმან ჩამოილოცა.
ბიჭსა და გოგოს ბრძანება მისცა,
უთხრა: წადით ფარვით,
წირვას დაესწარით,
ორნივ ერთად.
თქვენს დედ მამასთან საქმესა თქვენსა
მე გავარიგებ სულ ყველას დღესა,
ბიჭი, გოგო ჩქარა
მღვდელი კაცი წყნარა,
წავიდნენ საყდარს.
ბიჭმან გზაზედა გოგოს მიუთხრა:
ჩვენ ხომ გვირგვინი მღვდელმან გვიკურთხა
წავიდეთ ჭალასა,
შევუძვრეთ ჩალასა
წირვას რას დავდევთ.
გოგომ მიუგო რადა ხარ ბრიყვ
რას დავსდევთ წირვას? მაგას რად იტყვ,
რამან გაგასტერა,
შეიტყევ შენ ვერა,
რაცა ქნა მღვდელმან.

წიგნი უკითხა ჩუენს ქაცვზედ ხევას,
შენ მას ემახი გვირგვინ კურთხევას,
შორსა დაუჭირა,
მაჯა დაუჭირა,
ბიჭმა გოგოსა.
გოგომ უსრინკა კელიდამ დასძვრა,
კელ ფეხიანად მან ტანი დაძრა,
უკან გამოექცა,
მღუდელს ფეხ ქუეშ მოექცა
ესრეთ მიუთხრა...
იმ ბიჭს ეგონა ჯუარის დაწერა,
ბევრი მიუთხრა ვერ დააჯერა,
დამეჭიდა მალად,
მიმათრევდა ჭალად,
მე გამოვექეც·
მღუდელმან ხიცილით გოგოს ჰრქუა: წადი.
მალე იქნების რისაც ხართ მწადი,
ნუ გეშინიანო,
არ არის ცუანო.
მე საქმე იქუენი.

მივიდა მღუ̂დელმან ზარებს დარეკა,
ყოველი ერი საყდარს შარეკა,
წირვა ისმინეთო,
დგომა ითმინეთო,
გარეთ ნუ დახტით.
როდესაც რომე მღუ̂დელთ ჟამი წირეს,
კულავ ქადაგებას მოჰყვნენ გაჯირეს,
იწყეს იგავადა,
არა იგ ავადა,
დედ მამად ჰკითხეს:
ერთს უდაბურსა მთასა, ღელეში,
მშიერსა მგელსა წინ ედვას ლეში,
იქნების დაინდოს,
და ჯირი არ ჰკიდოს,
მათ თქუ̂ჳს, არაო.
აგზნებულს ცეცხლზედ რომ თივა იდოს,
მორჩების რომე არ წაეკიდოს?
სახმილს მგზებარესა,
თივას მდებარესა,
თქუ̂ჳს, რა მოარჩენსო!—

მღჳდელმან მიუგო: თუ ეგკი იცით,
თქუენ რად არა ხართ სჯულის სიმტკიცით,
რად თავს არიდებთ,
და არ არიდებთ,
გოგოებს, ბიჭებს?
მინდვრად, მთად, ჭალად ერთად დადიან.
ვინ იცის თუ რას ცოდვას ჩადიან,
გარჩეულსა სჯულსა,
რად ჰსდით დასვანჯულსა
და არას ნაღვლობთ.
დროთ მოსულს ქალ ვაჟთ რალას აყოვნებთ,
რად ჯვარს არა სწერთ, აწ რას აღონებთ?
რასათჳს წაასდენთ,
სჯულსა გარდაახდენთ;
არა გჩანსთ ცოდვად.
რად ემსგავსებით ქისტსა და დიდოს,
კერპთა, მსახურთა, სჯულით უწმინდოს.
უშიშრად, ურცხვადა,
გვირგვინთ უკურთხადა,
ცოლ ქმრობას შვრებით.

ბიჭის მამამ ჰრუ̂ა: საქმე ამ გვარი
ჩუ̂ჱნ მოგვიხდაო მისთჳს მათ ჯუ̂არი
ველარ დავსწერეთო,
შავი შავკერეთო,
ვართ მგლოიარე.
დედა მომიკვდა, მამა სულზედა
მიმეს დავსტირი, მუდამ სულ-ზედა,
წინ მიდგას გუბენი,
მაქუ̂ს კალთა უბენი
ცრემლით დამბალი...
სევდით გონება მაქუ̂ს დაკარგული,
ჭირში ვარ, ლხინსა, არ მამლევს გული,
ამისთჳს დამდგარა,
და აღარ მამკდარა
მათი ქორწილი.
მღუ̂დელმან მიუგო: ჯვარის დაწერას
უქორწილობა მოუშლის ვერას,
დღეს დავწერ მათ ჯვარსა,
მოგარჩენ მათ ჯავრსა,
ადროეთ ქორწილს.

დღევანდელს ქორწილს ეს კაცი ცდილობს,
რომ დაულასავს ბოდიშსა ხდილობს,
მზათა აქუს მას ხარჯი,
თავისი ნასარჯი,
შემოსაწევრად.
ბიჭის მამამ თქუა: ამ საქმეს ვკრობთ,
ვერ გაგვიგია როგორ აპირობთ,
ჩუენ თუმცა გვეთნება,
ვასრულოთ თქუენთ ნება,
როგორ მოსდება.
შას მასპინძლობა აქუს ალაპური
აწ გადარჩების მას რაღა პური,
რომ მისის ხარჯითა,
მოურულებ გარჯითა
ჩუენ ის გავსარჯოთ.
იმ კაცმან უთხრა ბიჭის მამასა,
ოღონც ნუ მოშლი საქმეს ამასა,
ალაპსა, ჭამასა
მე უზამ მამასა,
მასუკან სხუა დროსა...

დაიყოლიეს, დართო ნებანი,
შჳლს დაულოცა ქორწინებანი,
რა დასწერეს ჯვარი,
კაცთა ქალთა ჯარი,
შეკრბენ ქორწილად.
მის დროს იმ კაცის ცოლი ატირდა,
რა ატირებსო ერი გაჰკჳრდა.
მღუ̂დელმან იმ კაცს ჰკითხა,
გალანძღა გაკიცხა
რადა სცემეო?
კაცმა შეჰფიცა არ მიცემია,
მიმოწმებაა რაც აქ თემია,
თქუ̂ენ ჰკითხეთ ყველასა,
თჳთ ჩემს ცოლს ლელასა,
თუ მისთჳს მეცეს.
მღდელმან მიუგო: თუ არ გიცია
რაზედა სტირის მე არ ვიცია,
შენ გეცოდინება,
მიხი ცრემლთ დინება
მითხარ რად არის?

მიუგო კაცმან: თჳთ მოგახსენოს,
ჰკითხე თუ მისთჳს მე რამე მევნოს,
რად მას აქუს ყჳრილი,
თავს ცემა ტირილი,
არცა მე ვიცი.
მღუდელმან დედაკაცს ჰკითხა: დედაო!
მითხარ, შენ სტირი, აწ რაზედაო?
მან მღუდელსა ჰრქუა კანკალით:
რასათჳს დაგკალით
იქუენის კელითა.
მღუდელმან მიუთხრა: როგორ დაგკალი!
გამაგებინე მე გზა და კვალი,
ასეთი რა ვქენი,
საწყენი აწ თქუენი,
შემატყობინე.
უთხრა: ალაჰი რომ მოგვიშალე,
ორნივ ცოლქმარნი მოვკუდებით ხვალე,
შიშით წანწარევდა,
სიტყუასაც წარევდა,
ხან და ხან სხუასაც.

მღჳდელმან დედაკაცს მიუთხრა ჰკითხა:
ხჳალ თქჳენ მოჰკვდებით,მითხარ,ვინ გითხრა?
მან თქჳა ჩემი ქმარი,
მილად წვა, სიზმარი
ნახა მან ეგრეთ.
მიუგო მღჳდელმან, მოტყუებულხარ,
შენ მაგაზედა ნურასა სწუხარ,
არ არის ეგ სწორი,
გსმენია შენ ჭორი,
ჭორს ნუ აჰყჳები.
რაც სწადებია შენს ქმარს საქნელად,
არა ნდომია ქჳეყნად სათქმელად,
მისთჳს დაუფარავს,
საქმე მოუპარავს,
ვერა გნდობია.
რაც შენმა ქმარმან დღეს საქმე კარგი
ქნა, სულისათჳს არს დიდი მარგი,
ალაპსა, ჭამასა,
შენის ქმრის მამასა
ეს ურჩევნია...

დღეის აღაპად აწ ესე კმარა,
რომ ჭირთა შინა მმას მოეხმარა,
ნუსართ ქთჳფნ უწები,
ზოგზოგნი ტუტუცები,
დედაკაცები.
ადექ, წავიდეთ, დავსხდეთ, ვილხინოთ,
დავლიოთ ღჳნო და ვიღიღინოთ.
რას ჰქჳან სიზმარი,
ტყუის შენი ქმარი,
განგებ უქნია.
ეფიცებოდა თავის ცოლს ქმარი,
ტყუილათ გითხარ მე ის სიზმარი,
თუ გამჟღავნდებოდა
აღარ მოხდებოდ,
დღეს ეს საქმენი.
თუ შენთჳს მეთქჳა სხჳაგან გამცემდი,
აღარცრას მაგდენს ხარჯსა მამცემდი,
საქმეს წაახდენდი,
აღარ მაახდენდი,
გამაჯავრებდი.

მე შენ ტყუილი ამიტომ გითხარ,
მე კარგად გიცნობ შენ როგორიც ხარ,
რასაცა მაისმენ,
წამსედ ვერ მაითმენ
მაშინვე იტყჳ:
ადექ, წავიდეთ, ნუღარა სტირი,
შენ დაიბანე ჴელი და პირი,
ჩუჱნ მიგველიან,
ერთიურთ მღდლიან:
ქორწილად სხდომას.
წამოაყენა და წაიყვანა
საჩქაროდ ცრემლი მან მაიბანა,
მივიდნენ ქორწილად,
მაყარს ჴმალ ამოწჳდილად,
შეასწრა თუალი,
ცოლმან ქმარს უთხრა: აგერ სიკუდილი,
როგორ მხათ გვიდგას ხმალ ამოწვდილი,
ვეჭვ შენ ვერა ხედავ,
შენ მისთჳსა ბედავ,
აქ შექცევასა.

მას კაცს უკანვე გაექცა ცოლი,
ქმარი უმახდა უკან გამყოლი,
რამ გადაგრიაო,
ეს მაყარიაო,
კმალ ამოწჭდილი.
ცოლმა ქმარს უთხრა: წავალო შინა,
ვინც უნდა იყოს მან შემაშინა,
გული მილონდება,
სულ ის მაგონდება,
რაც ნახე სიზმრად.
კაცი მობრუნდა გულს მიხჭდა წყენა,
თჳსი სიდედრი გამოუყენა,
დედამ ჩააგონა,
იქავ მაიყონა,
ის დედაკაცი.
დასხდნენ სადილად ჩრდილთ ქჭჲშ გრილად,
მოყვნენ ლხინს წყნარად, ღჳნის ხმას წვრილად,
მადა შააჭარეს,
სევდა განაქარვეს
მგლოვიარეთა.

გამართეს ლხინი, ზმითა შაირით,
გალობით, მღერით, ჩანგით, დაირით.
ფუნდრუკ, კუნტრცებით,
ქალ ვაჟნი ხუცებით
იქმოდენ სმასა.
ოდეს ახადეს ქალს პირს ბადეა,
პირთ სანახავი უდგეს ბადია,
ოთხის წლის ჭედილი,
რქებ ოქროთ ჭედილი
მიართვა კაცმან.
ადგა წავიდა მალვით მუნ კაცი
სადაც ...... ქალ ყრმათა ქაცვი
მან გათიბა მოლი,
მათი დასაწოლი,
მუნ განამზადა.
როცა დრო იყო წაუმღვა წინა,
ორივ სამილოდ იქ დააწჳნა,
მდადე მმა, მაყარი,
არ იყვნენ გამყარი,
გვერთ უდგნენ მცველად.

მან მეფემ ცისე...........

. . . . . . . . . . . . . . . . ,

. . . . . . . . . . . . . . . . :

. . . . . . . . . . . . . . . . .

ღმერთმან უშველოს!
რასაც წამს დაუწვა:
მუცელ ქმნილ შექმნა.
ის გოგო ჩემზედ გახდა ორსული,
რა დრო შეიქმნა შობად მოსული,
მე ვიშევ, სახელად
მათ დასამახელად
მარქუტს ქაცუა.

---

თქუა მწყემსმან ვსთქუათ რომ: კაცი დავქრ-
თამოთ,
მას მივსცეთ ვერცხლი, ვასოთ ვაჭამოთ,
იმით დავიფაროთ
რაც რამ მოვიპაროთ,
იმისგან მოვრჩეთ,

ვინც რომ არც სმითა არცა ჭამითა,
არ მოიგების მისებრ ქრთამითა,
იმას რაღა უყოთ,
პირი რით დაუყოთ,
რომ დაგვიფაროს.
ქალმან, მწყემსს ჰკითხა: ვინ არს აგეთი,
რომ არ მიიღოს მან სამში ერთი,
ვერც მოვიგოთ ქრთამით,
ვერც სმით და ჭამით,
მწყემსმა თქუა ღმერთი.
ღუთისა მეშინის ჯერ ყრმა ვარ წმინდა
ამას ვეკრძალვი თუმცა რომ მინდა,
შიშითა მრწოლითა,
შენთანა წოლითა,
ჯერ ვერ ვისარებ.
წადი სადაც გყავს შენ მეგობარი,
ნუ შეიქნები მათი მგმობარი,
პირობით იყავით,
ნაპოვნი იყავით.
იყარეთ წილი.

თუ ღმერთი ჩემს თავს შენ გარჳებს წილად,
მშობლით ვიკურთხჳთ: ჩჳენ საქორწილად,
შევირთავ ცოლადა,
გვერდთ დასაწოლადა,
ვყოფ სულიერად.
ქალმან გაშინჯა არ იყო ავი,
წამოდგა მწყემსსა დაუკრა თავი,
მწყემსმა პირს აკოცა,
კარგ სიტყჳთ დალოცა,
და გაისტუმრა:
წავიდა ქალი გზას გაეშურა:
დასაღამოვდა მზეც ჩაეწურა,
სიდამეც მოვიდა,
იქითვე წავიდა,
სირბილ: მუნმულით,
მწყემსმან იფიქრა მეტად შეწუხდა,
თჳალნი საწჳმრად მას აუქუხდა,
თქჳა ჭკუა წამივიდა,
საქმე ვქენ ავადა,
აჩქარებულად.

ასე შევიქენ: უცოდინარი,
ვერ მოვიფიქრე სამჯობინარი,
გაუშინჯავადა,
საქმე ვქენ ავადა,
აჩქარებულად.
ღჳ̂თის წყალობა განვაგდე ბედი,
ახლოს მოსულთ შორით მორბედი,
მე ბედი და წერა,
შევიფერე ვერა,
განვაგდე ნებით.
ჩემის გაყრისა ირ იყო მწადი.
მეკი მიუთხარ უკანვე წადი,
ჭალას უდაბურში,
მარტოკა გაუშჳ,
მე საყჳ̂არელი.
რად საცხოვარი არცად გავყარე,
მას თან არ გავყევ რად გავეყარე,
ეს რად არა ვქენი,
რასთჳს შევიქენი,
ასე უცები.

ვიქმენ ზარმაცად დამვრა დამზარდა,
მას თან არ გავყევ საცა დამგზავრდა,
გავსადე ოხრადა,
საკვნეს: საოხრადა,
ჩემ სატირლადა.
ვაშე თუ ღმერთმან მე ეს მიწყინოს,
მე დასაწვავად ის აღმიტყინოს,
რომ ჩემი ტრფიალი,
გავსადე ტიალი,
მე განვეშორე.
ჴორცს .ვესათნოე: მცონარებითა,
სულსკი არ გავყევ უკან რებითა,
შევიქმენ უდებად,
სახმილთა უდებად,
ვით გარდავრნები,
ვაშე თუ სულო; გისწრას ღამემა,
და შეგაშინოს გზაზედ რამემა,
დაგისვლეს გზის მცველი,
ავაზაკ მზირ მმრცველი,
არ გევანდეს მშჳჱლი.

ვამე თუ სულო ღამესა ბნელსა,
ჩავარდე სადმე შენ კნარცვსა მნელსა,
ეხვეწო შენს მხსნელსა,
შენს აღმომყვანელსა,
და არ გისმინოს.

გაჯავრებულმან არ გიგდოს ყური,
იმიოს რამე მან შენზედ შური,
აღარ გაგიკითხოს,
საქმე გაგიკიცხოს,
ნიშნიც მოგიგოს!

ვამე თუ სულო გიყარონ წილი,
სხუას ვისმე ერგოს შენზედ ქორწილი,
შევიქნა მე წბილი,
შენ სული მე ტკბილი,
მით დამიკარგო.

შენ ასეთს ვისმე კელთ ჩაუვარდე,
რომ იმას გულათ შენ არ უყვარდე,
მან არა გახაროს,
ჩავაგდოს ღრმა ხაროს.
მოგიდვას ცეცხლი.

ვამე თუ სულო არ აქჳნდეს მადლი,
მრუნდად მეხმაროს სასწორი, ადლი,
მან გზა აგირიოს,
ცოდვა მოგირიოს,
ჩემს ნაქნარ მადლსა.
ვამე თუ სულო არ მოგიწონონ
ჩემგნით მოწყული; რაც მოგიწონონ,
ცოდვამ დასმლიოს,
სახმილს მიგამლიოს,
დაუშრეტელსა.
ვამე თუ კორციც არ დარჩეს მთელი
მოკჳდეს დაუდგეს თვალთა ნათელი,
ყურებითა სმენა,
სასაუბროდ ენა,
**მას** მოეშალოს;
ვამე თუ კორციც უძრავად ტანი,
გახდეს შინიდამ მალ გასატანი,
აყროლდეს გასუნდეს,
საყვარელს არ სურდეს
მისიდა ჭვრეტა.

აღარ იამოს დასანახავად,
მალე წაიღოს დასამარხავად,
მიწას მიაბაროს,
ნიჩბით მიაფაროა,
და გამობრუნდეს.
ვამე თუ ჴორციც შეჭამოს მგელმან,
ანუ მიწაში მატლმა და გველმან,
რად ვქენ სამაგელმან,
საწვავ სადაგელმან,
არ გავყევ სულსა.
ჴორცს გვერთ დაუდექ ტიალად სული,
მშივრად გაუშჯ შორს გზას წასული,
არ გაჰყჳა საგზალი,
ექმნების რაღა მალი,
სიარულისა.
ვამე თუ სულო შენა გციოდეს,
ანუ გწყუროდეს ანუ გშიოდეს,
აწ რამე გტკიოდეს,
მით ცრემლი გდიოდეს,
ჩემგნით გული გტკიოდეს.

ღმერთო ნუ მიზამ ცოდვის პასუხსა,
ნურას მომივლენ საქმეს ნაწუხსა,
შენ ჩემო გამჩენო,
მომკვლელო დამრჩენო,
შენ გეაჯები...
იესოს ქრისტეს ღმერთს მაცხოვარსა
თაყვანსა გცემ, გთხოვ ამ სათხოვარსა:
იმ ჩემს საწყალს სულსა,
შორს გზას წასულსა,
შენ შეეხმარე.
მას ჩემს საყვარელს ღმერთო მაყვარე,
დავშორებულვარ აწ შამაყვარე,
გულითა მართლითა,
პირითა ნათლითა,
შეურცხვენელად.

---

ქალი მივიდა სად ყვავილს ჰკრეფდნენ,
არ წასულ იყვნენ, მას ქალს ეძებდნენ,
მოსთქმიდენ, ტიროდენ,

ხმა მაღლა ყჳროდენ,
სახელს უძახდნენ.
მირბოდა ქალი, შორიდამ ნახეს,
აგერ მოვაო მათ დაიძახეს,
იმათ გაუხარდათ,
დიდათ უყვარდათ,
მათ ერთმანერთი.
მივიდა, ჰკითხეს: სად გაიპარე,
ამდენს ხანს პირი რად დაიფარე?
თქუ̂ა ყვავილთ საკრეფლად,
კარგისა სამებრად,
გავყევ ჭალასა.
როგორც შორიდამ სტჳრთა ჴმა ესმა,
ან რაც ანბავი მას უთხრა მწყემსმა,
თავთ გადასავალი,
ვითარ ვლო სავალი,
მიუთხრა ყველა.
მათ რქვეს გვეგონა გიკბინა გველმა,
ანუ შეგჭამა დათვმა და მგელმა,
ვსტიროდით, ვჩიოდით,

ტყეში დავდიოდით,
შენ დაგემებდით.
შენს მებნაშია ვჰპოეთ მუტრუკი,
გასუქებული კარგი ტუნტრუკი,
ხვალ წილი ვყაროთ,
ერთად შევიყაროთ,
ვინც რამე ვპოვეთ·
მეორეს დღესა წილთა საყრელად
ცხვარნი გარეკეს ჭალიდგან ველად,
ჯვარედინთა გზათა,
წილს იქმოდენ მზათა,
უცხოს მგზავრთათჳს.
მწყემსის მაგიარ ჯოხი დაასვეს,
ქუდი დახურეს ჩოხა ჩააცუწს.
მათ თუალთა სამხელად,
უწოდეს სახელად,
ქაცჳა მწყემსი.
ზედ გამოაბეს ნაპოვნი ვირი,
მას ამოუდეს პირში ალჳრი,
თჳთ გადგნენ განზედა.

ჯვარედინს გზაზედა,
დანაწყვეს წილი.
ვისაც ეჴოვნა სულ არაფერი,
მან წილად დადვა კოჭბითა ფერი,
მუტრუკის მჴოვნელმან:
წილში გამთხოვნელმან,
ტარ გჳრისთავი.
მან ქალმან დასდვა ნემსი და მაფი,
გარდაზდიოდა თავს ოფლის ქაფი,
ქნა შიშით კანკალი,
თქუა: ღმერთო მამკალი,
თუ სხჳას ხვდეს მწყემსი.
ღმერთო მომხედე მე უბადრუკსა,
მწყემსის სანაცვლოდ, ვირის მუტრუკსა
ნუ მარგებ წილადა,
მე გასაწბილადა,
მარგინე სხჳასა.
არ განვაშორებ შენს უღელს ქედსა,
ოღონ ნუ გამერი მას ჩემსა ბედსა.
მე იმისთჳს ხელსა,

გულს სახმილსა ცხელსა,
ნუ მამიკიდებ.
სადაც რომ იყო ის ჩემი სული,
იყოს დაფარულ შენგნით დაცული,
სადაც იყო ბნელი,
გასაძლისი ძნელი,
მას განაშორე....
ქალებმა შორით შეასწრეს თვალი,
ნახეს რომ მგზავრი არს მამავალი,
გადაუდგნენ წინა,
წილიხ ყრისათჳნა
დაუკრეს თავი.
მოვიდა კაცი ჭკჳათა მყოფელი,
ჰკითხა: რა გაქვსთო გასაყოფელი?
ქალთა ჯოხი ცმული,
ვირი ზედ დაბმული,
აჩჳენეს კაცსა.
უთხრეს: ჯორზედ რომ ჩოსა აცჳა,
სახელად ჰქჳან მწუემსი ქაცჳა,
ვირი ხომ ვირია.

უძევს ალჳრი,
ორივ ჭჩანს თვალით.
კაცმან ქალთ უთხრა წადით: სამთავე
ერთად დანიშნეთ ჩხირნი საცნავე,
ქუდშიგან ჩაყარეთ,
თვალთ კელი მაფარეთ,
მე ამოვკრეფავ.
ქალებმა უთხრეს, მზათა გვიწყჳა,
შენ ხომ დაწყობა არ შეგიტყჳა,
თვალთ რად დაიფარავთ,
ხომ არ მოიპარავთ,
გვიცნობ ვერც ერთსა.
მან ცარიალი ქაღალდი კელთა
ქალთ მისცა უთხრა წილთა საყრელთა,
ნიშნებზედ მოუსვით,
ხანი გამოუშჳთ,
მუნ ერთი წუთი.
რაც მაგ ქაღალდზედ დაიწერება,
თქუჱნგნით ის უფრო დაიჯერება,
ვის რა ეფერების,

მაშინ ეწერების,
აქ მოიტანეთ.
მე წავიკითხავ თქუენ გაიგონეთ,
გინდ დაწუნეთ გინდ მაიწონეთ,
კმა ვერ ამოიღეს,
ქაღალდი წაიღეს,
სამთავ ქალებმან,
თავიანთ ნიშნებს ზედა მოუსვეს,
ცოტა რამ ხანი მათ გამოუშვეს,
ქაღალდზედ დაჩნდა,
ბეჭდისებრ დაჩნდა,
მათი ნიშნები.
კაცს მოუტანეს წერილი ქალთა,
კაცმან გაშალა თავისი კალთა,
უთხრა დალევითო,
ყური უგდევითო,
აილო ჴელთა.
ცარიელს ქაღალდს თქუენს ჴელი ნაჭერს,
ზედ ეტყობიან თქუენც ხედავთ ნაწერს.
უგდევით ყური,

არ გმართებსთ შური,
ერთმანერთასა.
ვისიც წილად მევს, მუნ კოჭბით ფერი,
მან ქმარი ემებოს თავის საფერი,
თუ ვერ იპოვნოს,
მან სული იცხოვნოს,
ქნას მოლოზნობა.
ვისიც წილად მევს: ტარ კჳრისთავი,
იმისი იყოს ტან ვირის თავი,
ასე ამბობს მწერი,
მას შეუსხდეს მწერი,
ოდეს ზედ შესჯდეს.
ვისიც წილად მევს მაფი და ნემსი,
იმისი იყოს ქაცჯა მწყემსი,
უწოდოს აქ მასა,
ნუ გასტეხ აღთქმასა,
რაც ღმერთს აღუთქჳა,
ნახეს ცოლქმრობის ბედი და წერა,
საფერს საფერი როგორ აფერა,
მათ შუა მავალი.

არ ჰყვანდათ მავალი,
თუთ ხვდენ ერთმანერთს.

(გაგრძელება შემდგომ ნუმერში.)

## ანტ...... ალმი.

ჵე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე,
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ—გაქჳნდეს სახე მოცინარე,
სიხარულით აწვე დასტკბი, მხიარულებს გული ვიდრე.—

ნუ გგონია, სიჭაბუკე მარად იყოს განუყრელი,
ულმობელს დროს მიაქჳს იგი, მასთან ყოვლი სიხარული,
სიტკბოება სიცოცხლისა—არცღა გვრჩების სიყჳარული;
ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შეჭმუხვ-
ნილი.

ვით ვარდის სიტურფენი მალე ჰსჭკნების და განქ-
რების,
ანუ სიზმარს საამურსა, ხილვა ტკბილი გვეჩჳენების,
ესრედ მსწრაფლ ჰრბი სიჭაბუკევ! კვალნიც შენნი ვერა
ჰსჩნდების,
ლაწვთ ვარდობა, ბაგეთ ღიმი საუკუნოდ გვშორდების.—

ნეტარ მას ამა სოფელსა, ვინცა იგრძნო სიყჳარული,
ბედნიერება თჳთ სუნთქჳს, მის მიმართ აქჳს შეწირული,
უმისოდა ვისც არა ჰსურს, არცა უწყის სიხარული,
ვისგანაცა გული უძგერს, ვისთჳსაცა არს სულდგმული.—

მეგობრობასა სიცოცხლე, სიყუარულსა მიეც გული,
ამათგან ჩუენი ცხოვრება, არს ტურფად აღყვავებული;
წუხილი გაქუს? მით მიეყრდენ, მყისვე ჰყონ განქარვებული,
მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება ღიმილი!—

ახ! მეც ვიყავ ბედნიერი, მეც მიყვარდა, მეც ვჰსტკბე-
ბოდი....
ჰე დღეო, სიხარულისავ! ესრედ მსწრაფლად სად წახვედი?
მშუენიერო გახსოვს ოდეს, შუქით ღამეს მინათებდი;
როს გხედავდი განშორებულს, ჩემს შორის სულს ვერ
ვჰპოებდი.—

თ. გრიგოლ ორბელიანი.

---

## გოჯორი.

ვითა არ გაქო ბუნებავ! ტყე, ველო მწუანეთ მოსილო,
ჰბიბინებ, ჰყვავი მშუენივრად, გარე მანტია მოსხმულო!
ვინ იყოს გრძნობა მიხდილი, არ აქოს შენი დიდება,
შენი ქებისა აღწერა ნეტა ვის მოერიდება!

მეცა გიახელ ქართუელი, შენი მშუენების მკობელი,
გულითა გიძღუნი სალამსა, ვარ შენი შამამკობელი!
გოჯრის ნიაო ნელიად დაიწყე ტურფა შრიალი,
აი კახურის ღჳნითა მიპყრია სავსე ფიალი!

გამოღმა ფერდობს ღელიანს, სად ბიბინებენ ხენია,
შენსა ქართუელხა ქართუელთან, ქართულად მომიღხენია,

ხდრევაც შენი შჳენება დიდს მწერალს ალუწერია,
მოთალსა, მწვანილს, ჯეირნის-მწვადს სად სუფრა დაუ-
შვენია.

ვუმზერ მიდამოს მშჳენიერს, გული დამიწყებს ძგერასა,
გულითა მხიარულითა დავიწყებ შენზე წერასა!
მეტად კარგი ხარ კოჯორო, მეტად საქები ბუნება,
მგონებ არ იყოს ოცნება, ვგონებ არ იყოს ცთუნება!

მე აქ ვზივარ სად კიბიტკა თათრულ გვარად დგას
ლამაზი,
რა უყურებ მაგონდება, ძველი ქართული დარბაზი!
შიგნით გრილი, ოჰ! აქ ძილი, გული, ყელი, გალეღილი,
ბახუსსა სალამს მივართმევ ვით ერთგული მისი მხლი!

აი! აქა მოვილხინეთ ორთ მეგობართ შენს მიდამოს,
ყველამ ასე გაიხაროს, ვინცა ჩჳეულებრ პური ჭამოს!
სადღეგრძელო საყვარლისა უსჳენებლივ გამოსცალოს,
მერე შენსა ბუჩქნარებში იბინოს და იტანტალოს!

აგერ გაღმით სასახლეები, გარეშემო ჭალაკები,
ზოგგან ველნი, ზოგგან ბუჩქნი, ზოგგან თეთრი პალა-
ტკები.
აქ ფრინველნი ყოვლის მხრითა, ხმა მაღლათა ჭიკჭიკობენ;
მარამ ვინ ჰსცნას, ვინ შეიტყოს საბრალონი რას ანბო-
ბენ...

აჰა ნიკო! გამოვსცალე შენთანა ვარ ალავერდი,
თუ გიყჳარდე ახლო მოჯექ დამიშვენე ძმაო მხარი,—
ამა წუთის სიცოცხლეში ბევრი ვნახე დღენი მწარი,
ასე აროდეს ვყოფილვარ ბედისაგან მე დამტკბარი!

აგერ ხომ ჰხედავ იმ სასახლესა,
მასთან ღელესა, ბუჩქნარსა, ტყესა!
მუნ ჰსუფევს მმაო, ქართჳელთა ბედი,
აგერ იქ არის ჩჳენი იმედი!

ვუჭვრეტ საშუალ კოჯრისა კრების—
მას დიდებულსა—მეფსა ქართლოსის,
მისის იმედით ურვა განჰქრების—
ოხჳრა და ჭმუნვა შეგვიმცირდების!

იმედი მისი სულსა ალხინებს,
აგრე განვგრძოს აურაცხელი!
დაჩაგრულს გულსა მსწრაფლ მოალხინებს,
მისი გვიპყრია მარჯჳენა ჴელი!

დრო გვაქჳს ნეტარი, დრო გვაქჳს სალხინო,
გულო შენც დრო გაქჳს, რომ მოილხინო!
აი აქა ჰსჭვრეტ დიდებულს მესა,
თუ არ იმიერ აწ ამიერსა!..

აგერ დასავლეთისაკენ რაღაც მოსჩანს ტინი-კლდის
დანგრეული, ვჰგონებ იყოს იგი ციხე ქოროღლისა!
მოგსმენიათ მისი ყველა, ვითა კარგის კაცისა,
ნუთუ იყოს აღგებული მეფობის დროს თამარისა?

აგერ პირდაპირ ტბა მოსჩანს, ლაპლაპებს მზიანს
დღეშია,
გარშემო ვრცელი მინდორი, ცხჳარი ჰსძოვს გორა
მთაშია!
მოსჩანს შორიდგან მტკვარიცა, გრეხით-კლაკნით მა-
ვალობს,
ორთა ჭალისა ჩარხები ზედ ვითა მუზი დაჰგალობს!

იქი-აქა ჰსჩანს სოფლები, ალვისხენი ამაყობენ,
ფრიალებენ, შრიალებენ, ქანობენ და თამაშობენ!
ერთმანეთსა შეჰხარიან. ვით მიჯნურნი შეამკობენ,
სიყრმითგან სიბერემდისინ აი, როგორ მეგობრობენ!

აჰა ნიკო! თეთრი ვარდი, რა მშვენივრად გარდაშლილა,
ნეტამც იყოს გარიჟრაჟი, ნეტამც იყოს ეხლა დილა!
ეშხით ბულბული დაჰყუეფდა, თჳსის პაწია ენითა,
ჩჳენ მას გრძნობითა ვუმზერდით ყური ტკბებოდა
სმენითა,

ბუნებავ! მშჳენიერი ხარ ტურფაა შენი შვენება,
ნეტა ვით შეჰქმენ ყოვლისა, შენ ასე აღმოცენება!
უთუოდ უხილავთა, ზეცითგან მადლი გფენია,
რომ ყველა ასე მშჳენივრად შენ ქჳეყნად გაგიჩენია!!

დიმ. ბერიევი.

**1861** წელს.

---

* *
*

ოჰ! სულო, სულო, როგორ გეჩჳენო,
რომ შენს თვალებსა მე მოვეწონო!
მშჳენიერთ ღმერთავ, რით მოგალხინო,
რომ ერთხელ მაინც მე შემომცინო!

თმას რას უყურებ ჭაღარა შერთულს,
დროა მამხედრო მე შენსა ერთგულს,
გინდა მიბრძანო შენგან შორს ყოფა,
ოღონდ გახსოვდე მე ის მეყოფა!

გიმზერ ვაებით გარე-მოცული,
შენ შემოგბღავის საწყალი სული,
ნუთუ არ იყო შემბრალებელი
და არ მიბოძო სპეტაკი ჴელი?

როდესა ცრემლით ზედ დავეკონო
და ბედი ჩემი მხოლოდ მუნ ვჰპოვო,
სრულის გრძნობითა შენ გიგალობდე
შენ შემოგტრფოდე შენთან ვხარობდე!

როს შემექმნები შენ საფიცარი,
მაშინ გიმსხჳერპლო გულის ფიცარი,
ზედ წააწერე «დამშჳდდი გულო
«ამიერიდგან ჩემო ერთგულო!!

დიმ. ბერიევი.

1861 წელსა.

---

## ჩემს ციცას.

(ყმაწვილური მოგონება.)

ციცამ იცის, თაგვს შეიპყრობს
უფრთხილდება ჯერკი კრძალვით,
ფრთხილობს, ფსიზლობს, იმ წუთს ცდი-
ლობს
მოისმაროს სხჳათა მალვით.

მაგრამ შემდგომს საბრალოს მას
ჭამის ნდომის კლანჭს მოავლებს,
თავის მსხჳერპლსა მისცემს ტანჯვას
და თან თჳალებს აბრიალებს!.....
აბრიალებს ცეცხლებრ თვალებს,
ულმობელი ვით მტარვალი,
სურს არ ავნოს, მაგრამ ავნებს,
მსხვერპლი კია ვითა მთჳრალი.
ხან გაუშვებს თავის უფლად,
ფიქრობს თაგვი მორჩა რომე,
ხან შეიპყრობს, ჭამოს უმად
სურს, ვერც რჩება მას როგორმე;
მაგრამ მსხვერპლი შავსა ბედსა
სად წაუვა, ვით მორჩება,
ეძლეოდეს თუნდ იმედსა
მაინც მისგან ჩაინთქება!...
მე ვარ მსხჳერპლი მისებრ შენი,
ულმობელო ჩემო ციცავ,
შენგნით ტანჯჳა, ესდენ სენი
მაყენია ღმერთსა ვფიცავ!....

ხან მისებრივ მივრთხილდები,
ვხედავ, მეტად მიხარიან,
და ხან მტანჯავ, ტანჯჳთ ვკჳდები,
სული, გული ჩემგან რბიან.
მაგრამ მაინც ჩავინთქები,
ვიცი, შენგნით ჩემო ცისავ,
შენგნით მკჳდარი შევიქნები,
ზწორედ მკჳდარი ღმერთსა ვფიცავ!...

ი. კერესელიძე.

**1861** წელსა. სეპტემბრის **11**-სა.

---

## კახურს ღჳნოს.

(უმღჳნი დიმიტრი ონიკოვს.)

გაქებ, გადიდებ კახურო ღჳნო,
ჩემო ნუგეშო სუფრის სალხინო,
შენგან ვიკვები არ ვარ მშიერი,
ჯავრსა მივარგამ ვარ ბედნიერი.
ვერ დავივიწყებ ჩემს სიცოცხლეში
წინითა ოქრო რომ მომცემ შენში.
ა, თამადავ ჭიქა დავცალე,
აბა დალიე მომეცი მალე.

ბაშიკები შვენებით სრულო,
ბახუსისაგან ხალხში განთქმულო;
მიყუარს მე შენი ქაფით დუღილი,
ჯამსა რომ ვავსებ შენი მორჩილი.
აი თამადავ, ჯამიც დავცალე,
აბა დალიე მომეცი მალე!
ოხ! რა კარგიხარ შენ გემოვნებით,
ლამაზის ფერში და ძლიერებით;
ვინც გნახოს გემოთ, გითხრას შენ ქება,
მასთან აღგითქუას თჳსი მონება.
აი თამადავ კულაც დავცალე,
აბა დალიე მომეცი მალე.
სუფრის სამშუენად შენ მოგიტანენ,
დიდის პატივით მაზედა დაგდგმენ;
მაშინ მრავალნი იწყებენ სმასა,
ტკბილსა უბნობას, ჩხუბსა, ბაასა.
აი თამადავ ყანწიც დავცალე,
აბა დალიე მომეცი მალე!
ოდეს უპრწყინავ კაცსა თავშია,
მარტოკა იყოს, თუნდა ხალხშია;
მღერა, თამაში, ღონე, მარდობა,
მაშინ ყოველი მოაგონდება.
აზარფეშაცა აი, დავცალე,
აბა დალიე მომეცი მალე.
შენის ძალითა ბრძენსა აფიქრებ,
მიჯნურს თვალთ წინა წარმოუყენებ,
ზოგსა ატირებ, უზმოს ამღერებ,
მხდალსა წინ წასვლას გააბედინებ.
მთა გასწორდება, ზღუაცა დაშრება,
ნამდჳლო, ძალი არ გაგიქრება.

აი, თამადავ ჯიხვიც დავცალე,
დალიე, ჩქარა, ნუ დამემალე!

თ. გიორგი ორბელიანი.

---

(ნეკრასოვით)

ნ. დ. ყიფიანს.

როდეს შემესმის კჳალად ბრძოლის ხმა,
ყოველს ახალს მსხჳერპლზედ ბრძოლის დელვისა,
მე არ მებრალვის არც ცოლი, არც ძმა,
არცა სიკჳდილი თჳთონ გმირისა,
არც მეგობარი მის მახლობელი...
გლახ ინუგეშებს მალე ცოლიცა;
ძმაც დაივიწყებს მეგობარიცა,
მათთჳს გაჰქრება, ვითა სიზმარი;
მაგრამ არს სადმე გლახ ერთი სული—
ვის კუბომდინ სწყლამს გმირის სიკჳდილი!
ამა სოფლისა ამოებაში,
და სიცუღლუტის წარმოებაში
ერთი შევნიშნე, მუხთალთ გაცთ შორის,
წმინდანი ცრემლნი მტირალის თჳალის—
ის ცრემლი არის დამწჳართ დედათა!
არ უნელდებათ მათ ალი ცხელი—
იგი დარჩება მუდამ მათ მწჳხლი!
ვერ ანუგეშვენ ვერას ფრით შჳლთა,
სისხლის ღჳრის ველზედ დახოცილებთა,

ვით ვერ შეისხამს ალვა თჳს შტოთა,
ქარიშხალისგან დანტვრეულებთა!

ან. ფურცელაძე.

1861 წელს. სეკტემბრის 10 დღეს. ქ. ტფილისი.

---

## ჯ მ უ ნ ჳ ა.

(ლოდაევ მალარსვით.)

მჯდომი ბნელსა კაბინეტსა,
დიდს-ხანს ვარ ფიქრით მოცული,
ვით ვიცხოვრო ამ სოფელსა
ხად არვის აქჳს სიბრალული!

ან. ფურცელაძე.

1861 წელსა ნოემბრის 6 დღესა ს. მერეთი.

---

## ლექსი თესლის თესვაზედ.

(ლერმანტოვით.)

მე ვფარავ თესლო ნოტიოს მიწით,
და განისვენე მას ქჳეშე მილით.
ბნელსა საფლავში ჩაწექ მარცჳალო,
გამოესალმე მზესა საწყალო.

რომ შეგმლებოდა შენ საუბარი
ამომძახებდი გულით დამწუხარი:
ველარ ვიხილავ სხივსა მზისასა,
ვერცაღა ველსა მწვანეს ტყისასა.
მარამ დააცხრე შენი სარება
და განუქარვე სულს მწუხარება.
ნუ ჰსწუხარ, შენ აქ რბილათ იქნები
და კვლავ ყვავილით აბიბინდები.
თესლო, მარცვალო მცირეს დროზედა,
მეცა მოგყვები შენსა კვალზედა.
როს ჩამფლენ საფლავს ბნელსა მიწაში,
მეც გავერთობი განგრძობით ძილში,
მარამ მე ღმერთი როს დამიძახებს:
ყრმაო აღსდექი! მსწრაფლ გამაღჳძებს
და შენც ეგრეთვე აწ დამინებულს
გამეოფებს თჳსს დროს აღმოცენებულს!

თ. მიხეილ ფავლენოვი.

1860 წელსა. ქნგენისთჳს იოსა დღესა.

# ქართველების ძჳელი დრო

გადმოსული ახლად.

ევროპია არის ლამპარი მთელი ქჳეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა. იგი ევროპია, არა ეხლა, ვინ იცის რამდენი საუკუნოები, განათლების წარმატებაშია და მოუსვენად ცდილობს მისთჳს, მაგრამ დღევანდლამდისინ ღრმა მსწავლულები, თჳთ ევროპიელნი ამაზედ დაჯერებულნი არიან: ჯერ იმ ხარისხზე არ ასულა განათლება, რომ კაცსა ბოროტება გამოგლიჯოთ სრულიადა. საუკუნოს წლებიდგან, ამ საუკუნემდისინ ასეა ევროპია, ამ მოცადინეობის ტანჯჳს ზრუნვაში.

ევროპიისაგან უყურადღებოთ დაგდებული საქართველო და საქართჳელოსაგან სრულებით უცნობი ევროპია, ხანდისხან მოგზაურნი მოვიდოდნენ აქა, აქაურობას აღწერდნენ, ქართჳელების ქებას, კაცებისას თუ დედაკაცებისას გამოსცემდნენ წერილებში და მთქმელიკი არავინ არა ჰყავანდათ, ეთქოთ: ვითარნი არიან ევროპიელნი, რომ მათთან მახლობლობა ჰქონდეთ ჩჳენს. მართა-

ლია, ევროპიის შემოსული პატრები უფრო შეიძლებდნენ ამას, რადგან ყოველს სახლში მახლობლობა ჰქონდათ, მაგრამ ისინიც ამის მეტს არას ზრუნვიდნენ, ქართჳელები გაეფრანგებინათ.

ვინიცობაა, თუ ჩჳენ მამაპაპათ ევროპიელებთან მეზობლობა ექნებოდათ, მაშინ შეიძლება ყჳელას დარწმუნება, რომ ქართჳელები ამდენის ძვირფასის ნიჭიერებით სავსენი არიან: დიდი განათლება იქნებოდა ჩჳენს ქჳეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგება წინა გარემოებას?— საშინელს ვეშაპსავით გაწოლილი ოსმალოს სახელმწიფო ჩჳენსა და ევროპიის შუა; ის ფანატიზმით გარეტებული ოსმალოს ერი, ჩჳენებსღა მოაგონდებოდა ევროპია, რომელსაცა ეხჳეოდნენ ოთხსავ კუთხივ, სპარს-ოსმალოები და სრულიად დანთქმას უპირებდნენ, აქ ამისი დაწერა დიას აძნელია და წასაკითხავად უფრო ადვილი, მაგრამ თუ სრულიად გონებაში წარმოიდგენთ იმ ანბავსა, ზარ დასაცემი საშინელება ყოფილა საქართჳელოზე!

მართლად, სამმა სიყჳარულის ძალამ დაიცო ქართჳელები: ქრისტიანობის შეურყეველმა მოხაობამ, მამულის თავ გადადებულმა სიყჳარულმა და გაამაყებულმა ქართჳელების ჩამომავალთ სახელმა, თორემ თუ ამ სამისა ძლიერისა სურვილით მზიდულნი არ ყოფილიყვნენ იგინი, ქართჳელების სახელი აღარ იქნებოდა დღეს. მხოლოდ ეს სამი თქმა ცოტაა, სრულიად დავანახოთ საქმე, ამისთჳს ვისაც რა გაუგონია, იმათ უნდა გვიანბონ, რადგანაც მოანბეთ ვალი ეს არის, რომ მამულის ანბავი მოგვითხრან, ნამეტნავად უწინდელის დროისა, მაშინ წამკითხველმა თჳთ იცის, უნდა დაიჯერებს, უნდა არა და თუ უნდა ბევრსაც გაილანძღება: სიტყჳას ბაჟი არა აქჳს

სო. ასე თქმულა, მაგრამ მე კიდევ იქა ვარ, იმ ჩჳენს მოხუცებულების ანბებში; უნდა ის ჩჳენი მოხუცებულე-ბი გენახათ, ძჳელის ანბების მოანბენი, თორემ ეხლა სულ სხჳა გვარად გვეჩჳენება მაშინდელი დრო, გალა-ლებული ხასიათისგამო.

ბევრმა იცის მარაბდის ომი შაბაზის დროსა, სადაც ამ ოცდაათის წელწადის წინათ, ისრის რკინას, კიდევ პო-ულობდნენ მინდორში. იმ საშინელს ბრძოლაში, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, მამულის გულისათჳს, რომ დაიხო-ცნენ სპარსელებისაგან; კიდევ ამისთანა მაგალითები რამ-დენია საქართჳელოში, უნდა გაჩუმდნენ, არა თქონრა იმაზე? თავადი პაპუნა ორბელიანის და თავადი ომან ხერხეულიძის (მდივანი) ისტორია მაინც წაიკითხონ, ვი-საც არ წაუკითხამს, ჩუბინოვის დაბეჭდილი?—თუმცა მცირედ მცირედით გამოყვანილია მაშინდელი საქმე, მაგ-რამ წამკითხველი მაინც დაინახამს მეფეს ირაკლის და იმის თანა მედროეთა ქართჳელებსა.

ათასის წლის ამბავი რამ წაგჳკითხა ეხლა, დაწვრი-ლებითი საქართჳელოსი, ურიგო იქნებოდა?—ძჳელის ანბის საქმე ასეა.—თუ ისტორიისათჳს გამოსადეგია, ისტორიისათჳს გამოიყენებენ, თუ არა და, სკივრში შეინახება, მაგრამ წასაკითხათ მაინც სასიამოვნო იქნება როგორც ძჳელი ანბავი.

ამდენი მოგზაურნი რომ დადიან მთელს ქჳეყანაზედ ანბების შესატყობათ,—ჰგავს კარგი ყოფილა. მაშ უსა-მართლო განკიცხჳა რაღათ უნდა, რომლითაცა ორის განსხვავებულის დიდის ღირსებით სრულია ეს ჩჳენი ქჳეყანა?—პირველი ბუნების ნიჭებულებით და მეორე ძჳელის ანბებით გატენილი. საქართჳელოს ბუნების ნიჭებულება არ დაიკარგება, მაგრამ სხჳა და სხჳას ანბა-

ეს რაღა უყოთ, თუ დაიკარგა, კარგი იქნება?—ყოველი ამ გვარი ანბები, რაც ჩემგნით დაწერილა, ჭეშმარიტად არ იყოს თავის საყვარელი ჩემი. თჳნიერ ამისა, რაც ჩუენი მოხუცებულებისაგან გამიგონია ანუ მინახავს რამე იმათში, ჩუენს მემამულეთ შჳლებთ დარჩეთ წასაკითხად. ვიცი წინააღმდეგის ენა, მაინც წინააღმდეგი იქნება, თუნდა ფაისლაზები გაუშალოთ; რავქნათ ეს სოფელი ასეა გაუტანელი. ჩუენც გაუძლებთ როგორც იქნება.

უძუელესს საქართუელოს ამბავებს აღარას ვიტყვი, ვითარი იყვნენ ქართუელები; ყოველი ესე თქმული ჯერ მეფის თეიმურაზის დროინდელი ანბავია და მასუკან მეფის ირაკლისა, რომელიცა იმისთანა დასაღუპი დროარას დროს არ მოსვლია ჩუენს ქუეყანას, მაგრამ მაშინდელი მამულის შჳლები, მარადის გულგაუტეხელნი და გაჭირებაში უფრო მხნენი; უფრო ძლიერნი შეიქმნენ იმ საშინელებაში!

გამიგონია მეფის ირაკლის დროს რაღაც უწესოება მოექდინოთ ზოგიერთს პირთ საქართუელოში და მეფეს არაფრათ მიეღოს, რომელსაც ჰგონებენ ამისათჳს. ვსთქუათ: გიებას ემართლებიანო, მაგრამ წარმოიდგინეთ განათლებული საკელმწიფოები? მაკოლეის ისტორია ანბობს, (*) რა ანბავი ყოფილა ანგლიაში?—ანუ გინდევ სხუა საკელმწიფოში? და კვალად პირველ ნაპალიონმა, ლერცოღი ანგენსკი, რომ მოაშთობინა, სამართალი იყო? იტყჳან: იმის პოლეტიკა ითხოვდაო. მეფის ირაკლის პოლეტიკაც ის იყო; მიუტევებდა კერძობით დანაშაულს, როგორი თავგადადებულნი იყვნენ მამულისათჳს და ან როგორ ემსახურებოდნენ მეფეს ისინი.—

(*) კაროლის იაკობის მეორეს დროს.

უკანასკნელს წვეთს სისხლამდინ თავის მთელი სახლის შვილებითურთ. ყოველი საქმე დროს მიხედვით არის გარემოებისაგამო. მეფე ირაკლიმ, ერთი დიდი გვარი დამდაბლა; თქჳენის დღეგრძელობით, ნეტავი არც ისინი დამდაბლებინა.

დახიზნული მეფე თეიმურაზ ფშავის სიმაგრეებში თავის ხიზნით, რადგან გარდამეტებული შიშიანობა ყოფილა საქართჳელოში შემოსეულის აუარებელის მტრებისაგან. მაშინ ასეთი ვაება დაემართა ჩჳენს ქჳეყანას, რომ ერთიანათ თემები სიმაგრეებში დახიზნულან და ყოველს ქართჳელს თოფზე სძინებია. იშჳათათ გავიდოდა დღე რომ უნამეტნავეს წლის ქართჳელთას, მტერთან ომი არ ჰქონიყო, ძნელად იქნებოდა, რომლისაგამო დარჩომილა მეფე თეიმურაზ ფშაველებში, შჳდი წელიწადი, სადაც მისდიოდა ქართჳელების, მეტი შეჭირჳება, გარეშე მტრებისაგან და იმათი ყოველი ანბავი. ამ დროებში ქართლ-სომხითი ოსმალთ დაიჭირეს, უფრო ამ მიზეზით, რომ გაისლამიზებული მეფე იესე მეფეთ დასვეს ქართლ-სომხითში და იმისი შემწეობით დაიმორჩილეს ეს ქჳეყნები. გარდა ამისა, მეტის მეტად შეჭირვებული და ძალდატანებული კახეთი ოსმან ლეკისაგან, გაღმამხრის კახეთი და ჭიზიყი დამორჩილდა ლეკებს და მოხარკე შეიქმნენ.

ამ დასალუპს ანბავში თავის თავზე ხელი აიღეს ქართჳელებმა და უკუღმართს ბედსა დამორჩილებას უპირებდნენ, ამ დროს ბატონიშჳლი ირაკლი (შემდეგ მეფე) მეფის თეიმურაზის შჳლი, თხუთმეტის წლისა იყო, რომელსაცა ფშავში დახიზნულსა ესმოდა ეს ანბავი და დიდათ სწუხდა. მოთმინებისაგან გამოსული, მკჳრცხლად გამოვიდა ფშავის სიმაგრებიდგან; გახელები მოიხმარა,

კახელებმა ლეკები გარეკეს კახეთიდგან და მეფე თეიმურაზ ისევ განაახლეს მეფეთ თელავში.

პატარა ირაკლიმ, თელავში მშჳდობა დაუტევა თავის მამას მეფეს, თჳთონ ამხედრდა ცხენსა ბედაურსა, გამოცდილი ქართველები შემოუსხდნენ საუკეთესო ცხენთა და მოეტივნენ მტრებსა. ქართჳელებსაც იმისთანა გულოვანი უნდოდათ, როგორიც პატარა ირაკლი.

დიდი ანტონი ქათალიკოზი იტყოდა თურმე.—«ჩემი ირაკლი უნდა გენახათ «პირველიდგანვე, როგორ საკვირ-«ველად გამოიჩინა თავი! თუ ირაკლი არ გაჩენილიყო «ქჳეყანაზე, დავარწმუნებთ საქართველო დაინთქმოდა «მტრებისაგან, მაგრამ ჩემმა უსაყვარელესმა ძმამ (*) «ირაკლიმ, მტრები შეაძრწუნა და მამული გამოიხსნა, «თავისის ძლიერის ქართჳელებით, აბა ვიღა უდგებოდა «იმათ წინ, დათანხმებულს ერთის აზრის მქონეს ქარ-«თჳელებსა და იმასთანა მოთავეს ირაკლის?»

სდევდნენ მტერთა და მუსრს ავლებდნენ მართლად ძალიან. ასე შეაშინეს შემოსეული მტრები. რომ ირაკლისა და ქართჳელების მხოლოდ სახელი, იმათი დამარცხება იყო, მაგრამ ძვირად ულირდათ მამულის ღვაწლი, რომელთაცა აღარც დღე ჰქონდათ მოსვენება და აღარც ღამე. ზოგჯერ ერთს დღეს, სამსა და ოთხს ომსა გადიხდიდნენ და ღმერთიც ძლევას აძლევდა. ერთხელ, ერთს დღეს ხუთჯერ გაემარჯჳათ მტრებზე და მეორე დღეს კიდევ დაემარცხათ მტერი. (*) (*)

---

(*) ახლო ნათესავი იყო, მაგრამ მეტი ერთგულებისა და სიყჳარულისაგამო, ძმას ეძახდა.

(*) (*) ეს ანბავი სიღნაღის ბოლოს ალაზნის პირზე ყოფილა.

მეფე ირაკლი და მაშინდელი იმისი ქართველები, შემძლიან თამამათ ვსთქუა, იყვნენ მამულის მოწამენი.

მეფე ირაკლიმ სამოცდა სამი წელიწადი, მოუსვენად მოუარა ქუეყანას და მარადის ხმალს სცემდა მტერსა, რომლისაცა იმისი მამულის ომები, დიდნი და მცირენი რავდენიმე ათასია.... საცა არც ერთს ომში არ დაჭრილა და არც ტყვიას გაუკენწლავს, მაშინ როდესაც რომ შუა გულს ომებში იბრძოდა ხოლმე, ყოველთჳს მტრის ტყვიაში გახუეული. ამისთანა დაუჯერებელი მაგალითები არც გაგონილა და არც იქნება, მგონია არას დროს.—

მერე საკჳრველება რაღა იქნება ქუეყანაზე, საშინელის მტრებისაგან მოზღუდვილი საქართუელო, მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ვერას ძლიერებით, ვერას საშუალობით, ვერ მოსტაცეს მცირედი ესე მამული, ერთობ ქართუელებსა, რომელთაცა სარწმუნოებაცა მკჳდრად დაიცუეს, ქრისტიანობა და ამითი გააკვირვეს ევროპია!

მეფის ირაკლის და იმისი ქართუელების ამბავი ნადირშასთან, როგორ გამოიჩინეს თავი ინდოეთში, მართლად გასასტერებელია!

გთხოვთ თავის შეწყენათ არ მიიღოთ, მინდა ქართუელების ამბავი რამ მოგითხრათ ინდოეთის ბრძოლისა. ერთხელ, ერთს ინდოელების დასში დაერივნენ ქართუელები, ის დასი რო განაბნიეს, ამ დროს ერთი კარგი ინდოეთელი მხედარი დაიჭირეს ქართუელებმა, რომელიცა ძლიერად იბრძოდა. იმისი მდიდარი საჭურველი აძარცვეს და გაშფოთებულებმა იმისი მოკვლაც მოინდომეს, სად იყო და სად არა, პატარა ირაკლი მოვარდა ძახილით:

—ეგ ინდოეთელი მხედარი არ მოკლათ, თორემ დიდად შეწყინებაო.»

ამ სიტყვით დამშჳდებულთა, ხმლები ქარქაშს მიაქციეს. ირაკლიმ ის ამარცვილი საჭურველი გამოართო ქართველებს ამ სიტყვით:

—ქართველებო! როგორ გეკადრებათ მამულის ტყვეს მოკვლა, როგორც ავაზაკისა, რომელიცა იბრძოდა თავის მამულისათჳს. ეს იარაღი ამას ეკუთვნის და ამასვე უნდა მივსცეთო.

მისცა საჭურველი და თან საიმედო სიტყვა უთხრა.

—ინდოელო! დიდათ მამწონს შენი მამულის ერთგულება; როგორც აქამდისინ იბრძოდი მამულისათჳს ერთგულად; როგორც აქამდისინ იბრძოდი მამულისათჳს, ისევ ისე ემსახურე თავგადადებით, რომ შენმა მამულის შვილებმა დაინახონ, სწორეთ მამულის შვილი ყოფილხარ შენ. აჰა ეს შენი იარაღი შენივე იყოს და შენი მამულის ერთგულება, ისევ შენთჳს მოგვიცია ქართველებსა. მშჳდობით ინდოეთელო მხედარო.» ინდოეთელი მხედარი დიდი მადლობელი, გაკვირვებული წავიდა.

ქართველებმა, ასე მოაწონეს თავი ნადირშას, რომ შუას ომში, ცხენიდგან გადმოხტა, ირაკლი მიიყვანა თავის თან, თავის წელიდგან ხმალი აიხსნა და ირაკლის შემოარტყა ამ სიტყვით:

—შენ და შენმა ქართველებმა ასე მამაწონეთ თავი, რომ ამ დიდს ომშივე, მადლობა მინდა გითხრათ. ეს ხმალი თქვენი იყოს ჩემს სახსოვრად, რომელთანაც თქვენი შვილი შვილები მოვიდოდნენ და ამ ხმალს ეტყოდნენ: ნადირშა განკვირვებული იყო, იმ ქართველებზე, რომელნიცა ნადირშას წინ, ნადირშას მხრებზედ იმარჯვებდნენო გამოჩენით.

ბევრჯელ ვნახამ ხოლმე იმ ხმალს, ჩვენთა წინაპართა მოსაგონათ.

დიახ ბევრი ანბავია მეფის ირაკლის და იმისი ქარ-თველობისა, სულ გასაშტერებელი ანბავი, მაგრამ ვინ გვეტყჳს სრულად, ვინღა მოგვითვლის?—მხოლოდ აქ და იქ რაც გაგვიგონია, სარწმუნო მთქმელებისაგან, იმას ვიტყჳთ, რომ მაშინდელი ჩვენი ერნი დავინახოთ, როგორ იყვნენ და ან რა ვიცით, იქნება ისტორიისათჳ-საც გამოდგეს როგორმე.—

კახეთის მეფის დაახლოვებით, ნადირშამ ქართლ-სომხეთიდგან, ოსმალო და ქართლის მეფე გააყენა, ამის მიზეზისაგამო, ქართლ-სომხითი კახეთის მეფე თეიმურაზს მისცა, და კახეთის მეფობა დაუმტკიცა ირაკლი მეორეს, მაგრამ ორათ გახეთქილი საქართველო მათ-ოსმან-ლეკებს მიუდგა და სომხით, კახეთ, სპარსელებს. ორათ გაყოფილი ესე ქართველები, ერთმანეთს ებრძოდნენ, ორივ თავიანთის შემწეობით და აჯირვებდნენ ერთმანერთს, ქართლელებს უნდოდათ თავიანთი ძველი მეფე, ანუ იმისი მემკჳდრე. კახელებს უნდოდათ შეერთება საქართველოსი და ერთობის განძლიერება. გარდა ომობისა, იყო მიგზავნ-მოგზავნა მოციქულებისა და დაუღალავი ცდა, ბოლოს ერთობის სარგებლობას დამორჩილდნენ ქართველები, თუმცა ხან გამოშვებით, ძნელად, მაგრამ მაინც ერთობა მოხდა და გაერთდა სრულიად საქართველო ერთ სამეფოთ, სადაც სადღესასწავლო კმები დიდი იყო, ყოველს მხარეს ერთობისა, მაგრამ მძჳნვარე ნადირშას გულსა რა გაამძღობდა?—

მთელი ჩვენი ქვეყანა თჳთონ დაიჭირა, ზოგიერთს ადგილს თავისი ხანები დასვა, თავის ჯარები დააყენა და მომატებული სამსახურიც დასდო. თუმცა საქართველოს მეფობის სახელი მეფობისა იყო, მაგრამ საქმე, სულ ნადირშას ეკუთვნოდა, იმის დაშინებულს სპარსელებსა

რომელნიცა სწოვდნენ, როგორც უნდოდათ ისე. ამაზედ მეფე თეიმურაზ სწუხდა დიდათ, ამ სიმდაბლესა მეფე ირაკლი მოთმინებით თავილობდა და ქართველებიკი გულის ძლიერსა ჯავრსა გულში იკლავდნენ რას ყოფით, უჴმლანი დროს ეძებდნენ მაგიერი გადეხადათ სპარსელე-ბისათჳს.

ამ ანბავში კარგახანი გამოვიდა, ამ დროს ნადირშა სამასის ათასის სპარსით, გამოჩენილისა და გამოცდილის ჯარით თავრიზში დაჯდა. აქ არ ვიცი რა ფიქრი მოუვი-და, რომ დიდათ სასტიკი ხარკი შეაწერა საქართველოს, (ფარბაბი) რომელთაცა მეტის-მეტათ დაუმძიმდათ და სრუ-ლებით თავის იმედი გარდაიწყვიტეს: ეს სხუა არა არის რა ამის მეტი, რომ ნადირშა გადასახლებას გვიპირებს უთუოთაო სპარსეთში და ჩუენს მაგიერათ სპარსელების დასახლებასაო საქართველოში. ყველანი ამას ანბობდნენ.

იყო დრტჳნვა და ვაება საქართველოში, საცოდავნი დედაკაცნი დასდასობით დადიოდნენ ფეხშიშველა, თმა წეწვით ეკკლესიებში და ძუძუებს მოათრევდნენ დედამიწა-ზედ და სამშობლოს საქართველოს გამოეთხოებოდნენ საუკუნოდ.

მეფე თეიმურაზ დაღონებული, ხანდისხან თავის მხლე-ბლებს ჰკითხავდა: რა ვქნათ, როგორ მოვაგვაროთ, რომ ნადირშას მძვინვარე გული დავამშჳდოთო? — ეძებდნენ საშუალობას და ვერ პოვნათ. თჳთ ქართველთა გულთ გაჯავრებულთა, რა უნდა ექნათ მძლავრის წინაშე, რო-მელსაცა აღელვებულ ზღვასავითა დიდი ჯარი თავრიზში ჰყვანდა დაყენებული და საქართველოს წალეკვასა მოე-ლოდნენ ნადირშაისაგან, მაგრამ პატარა ირაკლი მეფე კახეთისა; საშინელებაში უფრო გონიერი, უფრო ძლიერი; იყო დამშჳდებით, აუჩქარად და იმის საიმედოს სახეს,

ვინცა შეხვდავდა, იტყოდაო: შენ ცოცხალი იყავ, თორემ საქართჳელოს არ ეშინიან მტრისაგანაო.

რაღა გაგაგრძელოთ, ბოლოს დროს თათბირი მოხდა მეფეებისა და საქართჳელოს პირველის კაცებისა, სადაც გადაწყდა: დესპანები გავგზავნოთ ნადირშასა, ეგება გვაპატიოს ამდენი შეწყრილი ხარკიო. აქამდისინ დაჩუმებული მეფე ირაკლი, აქ კმა მომადლოთ წარმოსთქუა ასე.

«ჩემო ჴელმწიფეო მეფეო მამავ. ნადირშას კარგათ «ვიცნობ; რასაც თქჳენ ბძანებთ და ეს პატივცემულნი «კაცნი, დიახ კარგია, მაგრამ ნადირშას რაც უნდა ვსთ-«ხოვოთ ყველა, არცა ერთსა ჩჳენსა თხოვნასა არ შეიწყ-«ნარებს და უფრო გაზვიადდება ის გამძლავრებული ავ-«შანი, ნამეტნავათ იმ ლაღრონის ჯარების მბძანებელი. «ან რათ უნდა ვსთხოვოთ, რომელსაცა ჩჳენი მკლავის «ძალა უნახავს და ჩჳენი შეურყეველი ვაჟკაცობა. ამის «შემდეგ როგორ უნდა დავიმციროთ თავი, იმას ვთხო-«ვოთ რამ; შეუშიშარმა ქართჳელებმა, რამდენს ომების «ცეცხლში გამოვლილმა?—ეს როგორ შეეკადრება «ყყაცთ ქართჳელებსა. იქნება თქჳენი ძალგული დაკარ-«გული იყოს ინდოეთსა?—არა, ამას ნუ მათქმევინებთ «თქჳენზედ. ნუ დაგვიმცირებიათ აგრე გული ჩჳენი მამა-«პაპებისა; კიდევ შეიტყვით სიმხნე და დანარჩენი ღმ-«რთმან იზრუნოს, ჩემო ძმებო ქართველებო!»

ვაი, ვაი პატარა ირაკლი! ევროპიის წესზე ასი ქართ-ველი რომ ვყოლოდა განათლებული, მაშინ თითით საჩ-ვენებელნი იქნებოდნენ იგინი ევროპისაგან: აგერ საკურ-ველი ქართჳელები ყველას მაგალითნი, მეფის ირაკლის სიტყუას დამორჩილდნენ და საქმესაც შეუდგნენ მაშინვე, ისტორიით ვიცით, საქართჳელოს ხალხი აჯყარეს მეფე-ებმა; სიმაგრეებში დაიჭირნენ და თვითონ თავ ჯარათ გა-

მოსულნი მტერს დაუდგნენ პირში, როდისაც გადაწყდა საქართველოს თვისის სიმაგრებში შესვლა, მეფე ირაკლიმ წარმოსთქვა, თავის ქართველებში. (ვისაც უანბნია მეფის ირაკლის ლაპარაკები, ისე დამიწერია.) «უშიშარნო ქარ-«თველებო! ეხლა არის თქვენი გამოჩენის დღე: ნამეტ-«ნავად იმ განძვინებულის ნადირის წინაშე, რომელსაცა «ჩვენი გაქრობა უნდა და ჩვენს ნაცვლად სპარსელების დასახლება, ჩვენს მშობელს ქვეყანაში სწორე მამულის შვილი მოითმენს განწირულსა სიღარიბესა, მოითმენს ნოტიო ტაროსა, მოითმენს ცეცხლსა და ყოველსა საშინელებასა რასაცა ვიტყვით, მაგრამ ჩვენს მამულზე ჩვენს ნაცულად სპარსელების დასახლება, რომელმა უნდა მოითმინოს, თუ არა დავრდომილმა ქალაჩუნამ, ანუ გამყიდველმა ანგარმა?—ქართველებო! თქვენ ის არა ხართ, რომ სპარსეთი გაიარეთ და ინდოეთში შეხვედით, ის მომთმენნი ქართველები შორის გზისა? რისთვის შეიწყნარეთ ის შრომა, მწუხარება, თუ არა თქვენი მამულისათვის?—რისთვის ემსახურებოდით იმ აღელვებულს ნადირშაისა, ისე თავ დადებით, იმ დიდრონს ინდოეთის ომებშია, რომელსაცა აგვირგვინდა თქვენნი შეუპოვარი მკლავის ძლიერება.—ჩემო ძმებო ქართველებო! იმ ინდოეთის ომებში იქ მეგობრობით რო აგვირგვინდით ნადირშასა, აბა გმართებსთ თქვენ, ადრე განძლიერებულის მეგობრის წინაშე და ახლა განძვინებულის პირის-პირ მდგომთა ქართველებისა. აქ შინ აღარავინ უნდა დავრჩეთ; დედაკაცებმაც იარაღი შემაირტყან და საერთო სისხლის ღვრა მოხდეს, სწორეთ ჩვენის მამულის სამზღვარზედა და იქ გადაწყდეს ჩვენი არსება ქართველებისა, მაშინ დაინახავს ის ნადირი, ჩვენი მეგობრობა რა არის იმისათვის და ან მტრობა, ამისათვის ნუღარ დავიყოვნებთ და ჩქარა მიგ-

მართლათ ჩუენსა საქმესა, რომ მცირედი ხანის გამოშვება დიდი სავნებელია ჩუენთჳს.

ამ სიტყჳს დასრულებასთან ყოველს მხარეს კაცები გაგზავნეს მეფებმა; ყოველი მხრის ქართველები აჰყარეს და თავ-თავის დანიშნულს სიმაგრებში შეიყვნენ სულ ერთიან. კარგათ რომ დაიხიზნეს და სიმაგრეები მკჳდრად გამაგრეს, ჴელ გამომავალი კაცნი, გამოვიდნენ დასდასობით და ყოველმა დასმა, თავთავისი დანიშნული იწრო ადგილები შეჰკრეს, სადაცკი შემოსასვლელი მაგარი ადგილები ეგულვებოდათ. ამასთან ბევრმა საქართუელოს ქალებმა იარაღი შემოირტყეს; ცხენთა ამხედრდნენ და აქ და იქ სიარული დაიწყეს საქართუელოში: ასე რომ გენახვენ, უფრო გამოიდებენ თავსა კაცებით. მეფე ირაკლიმ ბძანება გასცა და ჯარები გაუსია, სადაცკი სპარსელები და იმათი ხანები იყვნენ დაითხოვა საქართუელოდგან.

როდესაც საქართუელო ჩაიარეს სპარსელებმა, ამდნი საერთო ამხედრება ნახეს; დიდათ შეშინებულები ჩავიდნენ ნადირშასთან და ყოველი მოახსენეს ქართველებისა. ამ დროს მეფე ირაკლი, საკუთარის ჯარით გავიდა სამზღვარზედ რომელნიცა უცხოთ ყოფილიყვნენ დართულნი, თჳთონ, თუ იმათნი ცხენები. და პირველს ხანსა დააბარ.: ნადირშას მოახსენე, ჯერ პატივისცემა და მასუკან: მზათ გახლავართ ქართუელები მობძანდიო. ამ ამხედრებულს ქართუელებს რომ შეხედა ხანმა; მშვენივრად ისე შეჭურვილებს, დიდათ მოიწონა და მიზეზი კითხა მორთჳსა, რადგან ომში მორთვა საჭირო არ იყო. მეფე ირაკლი გაჩუმდა და ქართუელებმა უთხრეს.

—აქამდისინ ნადირშაის მეგობრობისათჳს თავი არ დაგვიზოგია ქართუელებს; იმის დიდებისათჳს და იმის ამაღლებისათჳს, ინდოეთში ინდოელებზე, თუ სხუა შემ-

თხუევაში, ახლა ჩუენი მამულის ომი ჩუენი თავგადადებითი სიყუარული მამულისა, უნდა დავანახოთ როგორი მამულის ქორწილია ჩუენთჳს, რომელნიცა ამ სადღესასწაულოს ტანისამოსით უნდა გამოვიდეთ გამორჯუებული, ან არა და ჩუენი ძკროვასნი აგვაჯულება, ჩუენთან ერთათ ამოიხოცნენ საქართუელოდგან და ერთიანად გაუწყდეთ, დედაკაცნი და კაცებიც. ეს მორთვა ეს აზრია ხანო. ეს ხანი რო ჩავიდა, ამანაც ასე მოახსენა ქართუელების სიტყუა.

განმძჳნებული ნადირშა, დიდათ განრისხდა და ბძანება გასცა ჯარების წასვლისა, სრულიად წასაღებად საქართუელოსი. ამ დროს მეფე თეიმურაზს ქართლის მხარე ეჭირა ჯარებითა, თუმცა მეფეს ირაკლის კახეთის მხარე ეჭირა მაგრამ ეს უფრო მეწინავეთ იდგა თავის ჯარით და პირველი ომი ამათი უნდა ყოფილიყო, რომელნიცა ასე გულით იყვნენ, რომ ამათით უნდა გაეწყვეტილიყო ნადირშას დამარცხება ამათი პირველის ომით. უთქუამსთ: ეს მეფის ირაკლის ჯარი, მეტათ საუცხოვოთ იყო გაწყობილიო და გაყვანილობისა ხომ რაღა მოგახსენოთ იმათიო. თუმცა დიდრონი ჯარები გამოგზავნა საქართუელოზედ ნადირშამ, მაგრამ ამასთან თურმე დაქრა; ბოლოს დროს თავი აიღო და შემდგომათ თქუა.

—მართალია მრისხანებით გავგზავნე ჯარები საქართუელოზედ, მაგრამ იმათი გაჯავრება არა სჯობია, ქართუელები არ უნდა გავაჯავროთ, თორემ საშინელნი მეიქნებიან; ეს იმათი თჳსება არის. ამ სიტყუასთან კაცები გამოუშვენა და ჯარები დააბრუნებინა, მასუკან პატივცემული ხანები გამოუგზავნა და როგორც საქართუელოს უჯობდა, ისე მოურიგდნენ მეფეებსა და პირუელს ქართუელებს. ის მძვინვარე ნადირი ასე შეაშინეს ქართუელე-

ზმა, რომ ჴელი აიღო საქართველოზე, და არა ჰქონდარა თჳნიერ მეგობრობისა, მაგრამ ოსმან ლეკებს, ვეღარ გადურჩნენ და შეიქნა შუა საქართველოში, გარდა წვრილი ომებისა, ძლიერ ძლიერი ბრძოლანი!

ამ საშინელებაში გავიდა კარგა ხანი. ამასთან ნადირშაის შემდეგ, ამ ოსმან ლეკებს დაერივნენ სპარსელები და გაგულისებული ესენი დაუცხრომელად სდევდნენ ცოტა ქართველებსა!

ამაში წელიწადები წელიწადებს გაჰყვა, თვეები თვეებს და დღეები დღეებს, მაგრამ მაინც არა ეშველარა საქართველოს გარეშე მტრებისაგან; არამცთუ ეშველარა, უარესად და უარესად დაუწყეს დევნა, მაგრამ ქართველების გული ვერ შეარყიეს ვერას დევნით და იმათის სისხლის დაღვრით. ასე გასინჯეთ, იმ ზღვასავით მრავალგვარე მტრებთა მოსწყინდათ ქართველების დევნა, მაგრამ ქართველები მაინც ვერ დაღალეს და ვერ შეაშინეს ვერაფრით. ამ ამბავთა შორის სპარსეთში ბევრი ცვლილება იყო მთავრებში; რომელნიცა ხან შეურიგდებოდნენ ქართველებსა და ხან ისევ ებრძოდნენ. ბოლოს დროს და ბოლოს ყაჯარი აღამაჰმადხან აუშალა მეფე ირაკლის, ამისათჳს რომ: რუსეთის მეგობრობაზე ჴელი აიღო. დაბეჭდილი წერილი დამტკიცებისა ამაზე, ენციკლოპედის ლექსიკონში.

მეფე ირაკლიმ რუსეთზე ჴელი არ აიღო და გაჯავრებულმა იმანაც ქ. ტფილისი გაუოხრა სრულიად და რომელიმე ნაწილი საქართველოსი. აღამაჰმადხან, ვერას იქმოდა მაგრამ დაფარულმა მოღალატე მტრებმა დაამართეს ეს საქმე მეფეს ირაკლის და საქართველოს.

შეწუხებულმა ეს ერთი დამხობა არ აკმარა ხვეწნს ქვეყანას, მეორე წელიწადს კიდევ წამოვიდა დიდრონის ჯარით, მ გრამ ყარაბაღში რომ მოვიდა, იქ მოკლეს

და ამითი გადაწყდა ეს იმისი მეორე ამხედრება. მეფე ირაკლიმ განჯის ციხე აიღო რადგან განჯის ხანსა აბრალებდნენ აღამამადხანის ამხედრებას საქართჳელოზედ და დაიმორჩილა ისე, როგორც ამ ბერიკაცს მეფეს ირაკლის უნდოდა, მაგრამ მაინც ქ. ტფილისის წახდენის სიმწარე არ მოეშო მეფეს და ამიერ სოფლით გარდაიცვალა ქ. თელავში (**1794**-სა.)

გიორგი დაჯდა მეფედ, მემკვიდრე მეფობისა და დაიპყრა სრულიად საქართჳელო. ამის მეფობის დროები განსხჳავებული ამით იყო, რომ რუსეთს მისცა საქართჳელო და რაოდენიმე ხანის გამოსვლისა თჳთცა გარდაიცჳალა დასნეულებული. ამ მეფემ საჭიროდ დაინახა რუსეთისათჳსმიეცა საქართჳელო რადგან აუცილებელი საჭიროება ითხოვდა საქართჳელოსი, რომლისაგანაც დაწყნარდა სრულიად საქართჳელო და სულ სხჳას ცხოვრებაში გადმოვიდნენ ქართჳელები, რომელთაცა დიდათ ეუცხოებოდათ ევროპიული განსხვავებული ცხოვრება და იმათი შემოღებანი: დაუჩვეველს ნუ დააჩჳევო, თუ დაჩვევ ნუღარ გადაჩვევო» ასეა ნათქჳამი ჩჳენში, და ამისთჳს გასამტყუნარნი არ არიან იგინი, მაგრამ მაქთუნი დრო აღარ გამოვიდარა, აუცილებელს საჭიროებას მიხვდნენ ქართჳელები და შეუდგნენ ევროპიის რუსეთის ქცევას.

ესენი დაუტეოთ აქა და ახლა რუსეთის დროები გადმოვიტანოთ საქართჳელოში. გაიხსნა რუსეთის სასამართლოები და შიგა და შიგ ჩჳენი ამორჩეული კეთილშობილები დასხეს ქართველები მსაჯულათ: რუსეთის მოსამსახურეს ჩინოვნიკებთან, სადაც სჯიდნენ ყოველ საგანს და ნება ჰქონდათ აზრები მიეცათ, რომელიც უფროსი ერთის ქართჳელების აზრებზე ემყარებოდნენ.

მოვიდოდა აზრი რომ ქართჳელები თანახმანი არ შეიქნებოდნენ რუსეთის მოსამსახურეებთან, ამაზე გაიყოფოდა ხმები და მაღალს ადგილს უნდა გაგზავნილიყო ორივე მხრის აზრები განსახილველად.

აქედგან ქართჳელების მსჯულება კარგი ვერა შესძინეს რა რადგან მეტად გძელდებოდა გადაწყჳეტა სასამართლოებში, ამისთჳს ეს საშუალობა მოიგონეს, რომ ცდილობდნენ ერთმანერთის მორიგების მოჩივრისას და პასუხის მძლეველისას სადაცკი საჩივარი გაჩნდებოდა რამე. დიახ ბევრი მოარიგეს ერთმანერთში, ვისაც შეგონება ქონდა და ვისაც არა, ბევრი დარჩა გაუსწორებელი და მგონია დაღიც დაჩნდათ იმათ, დიდი დასაკლისი?

თჳთ მე ვყოფილვარ, ჯერ კეთილშობილთ წინამძღომელი და მასუკან სოვესტნიკი ახლანდელს ღუბერნსკის (*) პრავლენიაში: (1829) როდესაც პირჳელს თანამდებობაში შევედი, მაშინვე ძველმა მოთანამდებავებმა მიმიწვიეს თავისთან, რომელთაცა გულის სისწრფელით მითხრეს.— ჩჳენი ძჳელი დრო აღარ არის და აღარც იქნება. ჩჳენი ძჳელი დრო დაიმარხა და ახალი დაიბადა ჩჳენთჳს, მაშასადამე ძჳელი ჭკუა უნდა დავკარგოთ და ახალი დავიახლოვოთ, ამისათჳს ორი აზრი უნდა გვქონდეს, ორი განმარახვა ჩჳენ. პირველი, ვინც მოთანამდებები, ვართ, პირველათ ამას უნდა ვეცადნეთ, ვისაც დავა აქჳთ ერთმანერთში, როგორმე მოვარიგოთ, ვისაც შესმენა ექნება, რომ სამწუხარო არა მოუხდესთრა იმათ და დასაღონარი საქმე. ამას უნდა ვცდილობდეთ და ამას ვბეჯითობდეთ ყველანი.

იოსებ მამაცაშჳლი გორის უეზდის სუდში, სუდიათ

---

(*) მაშინ ისპოლნიტელნი ექსპედიცია.

რომ იყო, რამთენი პირნი მოარიგა ერთმანერთში წარმოებული საქმე, ვინიცის რამდენი ხნისა? მგონია ოთხას საქმემდისინ მოსპო მშჳდობის რჩევით, რომელსაცა ამისათჳს მისცა, მაშინდელმა მთავარმართებელმა ნეიდგრადმა ჯილდოდ: ანნის ჯვარი. იოსებ მამაცაშჳლი არის ძჳჱლი კაცების გაზდილი, თჳთონაც ძჳჱლი თჳსების მექონე, და ახლა ვიკითხოთ, რომელი სჯობია?—ეს სისტემა ძჳჱლი კაცებისა, თუ ოჩერედით (რიგით) გადაწყვეტილი საქმე, მხოლოდ უიმედოს გამოძიებაზედ დაფუძნებული, რომელიცა ისიც ვინ იცის, იმ აშენებულს გამოძიებაზედ, როდის დასრულდება საქმე?—დაწყება აქჳს და დასასრულიკი აღარ.

მეორე. ეს ხომ ასე მოგახსენეთ, ახლა, ახალის განათლებისათჳს მეუბნენ ჩჳჱნი ძჳჱლი ქართჳჱლები.

კარგათ გაჩხრეკილი გვაქჳს ახლანდელი სწავლა, ეს სწავლა დიდათ საჭიროა ჩჳჱნი შჳლებისათჳს, უთოთ როგორც იყოს ვასწავლოთ და გავზარდოთ. არამცთუ ამ ჩჳჱნმა სიტყჳამ ქარათ გაიაროს და დავიწყებული იყოს არა, ეს ყჳჱნი სიტყჳა ჩჳჱნი შჳლებისაგან დაუვიწყარი უნდა იყოს. ახლანდელი სწავლა და კიდევ ახლანდელი სწავლა, ამისმეტი სხჳა არარა ჩჳჱნი შჳლებისათჳს; ისწავლონ და ამით გაიბედნიერებენ თავს უთოთ დიდის რუსეთით!»

«ჩჳჱნ ჩჳჱნი დროები დავასრულეთ და ახლა მართალს გზაზე ვდგევართ. დღეს არის თუ ხჳალა, კარებს დაგვირეკეს: მოდით სადაც განსვენებულნი განისჳჱნებენო. წავალთ გულ განსვენებული, მაგრამ ამის მეტი ჯვარი არა გაგვყჳჱბარა, კაითუ ჩჳჱნმა შჳლებმა ეს ჩჳჱნი სიტყჳა არ დაიმარხონ და ამ ჩჳჱნმა ძლიერმა სურვილმა ამაოთ ჩაიაროს?»

ბევრი მაგალითები მახსოვს, როგორ ცდილობდნენ ჩჳენი ძჳელი კაცნი და ბეჯითობდნენ თავიანთ შვილების გასდას. თუ თჳთეულათ მოვჰყვე მეტათ გაგძელდება და თავის შეწყენის ლაპარაკი იქნება, მაგრამ ამის ნებაკი მქონდეს ეს მცირედი ამბავი გიამბოთ.

ერთს დილაზედ დიდი ავდარი იყო ჩემს გამსდელს (ლალა) ცხენზე უჯექი, თჳთონ წინ მიმიძღოდა ლაფში და სკოლაში მივყვანდი. გზაზე სულ ამისთანაებს მეუბ-ნებოდა.

—ახლა აღარც ხმალია და აღარც თოფი, ახლა სწავ-ლის დროა, ვინც ისწავლის კაციც ის შეიქნება. «ამ ლა-პარაკში სკოლას დაუახლოვდით, ამ დროს ერთი ხნიანი აზნაური შჳლი მოსტოპამდა ლაფში და მხარეზედ ერთი უმაწჳლი უჯდა, ჩჳენ რო დაგვიახლოვდა, გამარჯჳობა უთხრა ჩემა მზდელმა, იმანაც: გაგიმარჯოსო. მასუკან კითხა.—«სად მიგყავს ეგ უმაწჳლი?»

—ეს ერთი ტყრა სკოლაში მივაბარე იქ მიმყავსო სას-წავლებელში.

—«რატომ ცხენით არ მიგყავს?»

—«მე დალოცჳლო, ერთი ღარიბი აზნაურშჳლივარ სად მეყოლება ცხენი. აქამდისინ ერთს გამოჩენილს კაცს ჳემსახურებოდი, რომლისაგანაც ყველა მქონდა და კარგიც ვიყავ მაშინ. ახლა აღარც ის არის, აღარც მე მაქჳს რამე და აღარც მე კარგივარ უიმისოთ. ეს პატარა ჩემი უმ-ცროსი ძმის შჳლი, ერთი წლიწადია ის გარდაიცვალა და ეს ობოლი დარჩა ჩემთან. რაღა გითხრა, ის ძჳელი დრო სომ აღარ არის ვაჟკაცთ ქართჳელების დრო რომელიცა ექჳს ადგილას დაჭრილი ვარ, თოფითა თუ ხმლიით, მეფის ირაკლის წინაშე ჩემის მშობლის მამულის გულისათჳს. ახლა სწავლის დროა და მეცდნიერების და

ჩემო ძმაო, სადაც ეს ყმაწჳლი მოვაბარე და მომყავს აქა. ეგესა ახლანდელის დროს მიხედვით კაცი გამოვიდეს რიგიანი და კარგი ნასწავლი. **სხ**უა ამის მეტი საზრუნველი აღარ უნდა გვქონდეს ქართუელებსა, თჳნიერ სწავლისა.»

**ჩ**უენის ძუელის თავადების ცდითა და იმათი შუა მდგომელობით, მეც პეტერბურღს მგზავნიდნენ პაჟების კორპუში **1812**-სა მაგრამ ამ წელს მამაჩემი აღარ დარჩა ამ წუთს სოფელში, რომლისათჳსაც დამაგდეს შინა სახლის გარემოებისაგამო და ამით მსახამდნენ მე, უბედურათ ქართუელები. **1827**-სა წელსა. **კ**იდევ ჩუენი ძუელი ქართუელები არ მომეშვნენ თჳთონ ისინი ეცადნენ და ჩემი ორი პატარა ძმები გამაგზავნინეს პეტერბურღს, ერთი ღვარდის იუნკერის სკოლაში და მეორე პაჟების კორპუსში.

**მ**ითქუამს და ეხლაც ვიტყვი, რომ დიდმა და პატარამ ძველმა ქართუელებმა, ამაზედ მიაქციეს ყურადღება, რომ ჩუენი შჳლები კარგათ გაგვზარდოთ. ეს ცოტა არის, ეს იმათი აზრი მართლად ძჳრფასი საქმეა ჩუენთჳს, თუ დავინახამთ?—ამისათჳს რომ ახლანდელი ჩუენი საქართუელოს საზოგადოობა მეტად აჳრეულებულია, ხასიათით თუ ზნეობით. ყოველი თჳთეულად რო ითქუას, ბევრი მოვა და სარგებელიც არ დადგებარა, ამისთჳს უპირველესთა სამთა აზრთა ვიტყჳ, იმათ განძრახუასა.

**პ**ირუელი გამძღუელნი ესენი არიან, რომელთაცა დიდათ უყუართ თავიანთი მამა-პაპანი, იმათი ყოფაცხოვრება მაგრამ ახლანდელსა განათლებასაცა არა ჰკარგუნ და განუშორებელნი არიან მისგან. მეორენი არიან, თავიანთს მამაპაპისას აღარას იძიებენ და აღარც უნდათ იმათი აღარაფერი კარგი, მაგრამ ახლანდელი განათლება დიდათ უყვართ და დაუცხრომელათ მისდევენ კიდეც.

შეიძლება კარგს მონადირეს ნადირობაში გულის აგიდება არ უნდოდეს პურებ ჩაწყობილი?—

და უკანასკნელად ვიტყვი მესამეთათჳს; ამათ უნდა ბევრი კარგი, მაგრამ ის სურვილი გულშივე უქრებათ და ამისგამო რაღასაც დავიწყებაში ჩავარდნილან იგინი,

საქმე დასასრულია უკანასკნელის ბოლოს წერტილი, სადაც აზრი გამოჩნდება სრულად.

თ. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

**25**-სა მაის **1861**-სა წელსა.

# კახეთში მოგზაურობა.

ივ. კერესელიძისაგან.

ქართლის ცხოვრებაში ვსცნობთ ჩუჱნ მეთერთმეტეს საუკუნეში ბაგრატის მეფობის დროს საქართუჱლოში ერთს დიდებულს ვაჩსა: რომლისათჳსაც უჩუქებიათ მეფე-ბს ჩინებული მამულები წინა მხარს და რომლისგნითაც წარმომდგარან ეს ვაჩნაძენი.—აბხაზის წარმოდგენას ყო-ველი კეთილგონიერი მიხჳდება. როსტომ მეფის დროს როგორც ამტკიცებენ ამათნი გუჯარანი, აბზაზეთით მი-სულა ამათი წინაპარი, რომელსაცა რქმევია ზურაბ და რომელიცა რა შემოსულა და გადმოსახლებულა ამ წინა მხარს, შესულა ზედ სიძეთ ვაჩნაძიანთში, შეურთავს ქალი ერთის ძმისა, ოთხ ძმათა შორის, რომელსაცა რქმევია ედიშა. ეს ედიშა მოხსენებულია თჳთან მოურავიანში თუმ ენიშნავს როდისმე მკითხველს. იმ დროდგან მომ-დინარეობენ ეს გადმოსახლებულნი და ზედ სიძეთ შემო-სულნი აბხაზნი, რომელთგანაც თუმცა განმრავლდნენ და-

შესაძლებელიც იყო იმათი გამრავლება, მაგრამ ბევრი იმათგან ამომწყდარა, ორი თუ სამიც მომკჳდარა ვაჩნა-მების კლდით, როგორც მეშურეთაგან და მეცილებით.— ამ აზნაურის ჩამომავალს თ. დიმიტრის თავისის მეცადი-ნეობით და მხნეობით ისეთი ვაზი გაუკეთებია, თჳთ მცირეს ვენახითგან სხჳა მხრით მომატებულის მამულე-ბითგან, რომ მრთელს წინამხრის გახეთში ამის მსგავს კაცი ძნელად ნახავს.—თჳთან ვაზი არის მდაბალს ალაგს რომელიცა შეიცავს ოთხმოცამდენ დღიურს მიწას.—თუ არ ცხენით, ამის გარს შემოვლება დიახ ადჳლი არ არის ჩინებული ქჳთკირის მარანი, რომელიცა აქამომდენ კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილი და რომელსაცა უმატებს კვალად და ამშჳენიერებს,—არყის სახლი ევროპიულად. ფემო მხრივ ბაღურად ნაკვეთებს და ხეხილებს.—რომლე-საც მე ვნახე, მეუბნებოდნენ ახლო მახლოს მყოფი, სამოცი საპალნე მოუყვიდაო და თავის დროზედ ოთხმო-ციც მოუაო. ეს უნდა მოვიხსენიოთ აქა, რომ აქაური საპალნე არის თუნგი ას ოთხმოცი. მერე რა ღჳნო დგება მე ამას აქ ვერმოვიხსენებ, რადგანც ბევრთ ჩჳნგანთა კიდეც იციან ღირსება ამ ვაზითგან მომორებით, მომა-ღლოს ალაგს უდგას ვარიანი სასახლე, რომლის სარკ-მელითგან სჩანს, მთელი კავკაზი, ალაზნის მინდორი და აქეთ იქით ხეობი, ერთის სიტყჳთ მდიდარი ბუნებაა, აქედანვე უყურებს, თავისს ვაზს.—სასახლე არის ორ ეტაჟიანი, პირველს ეტაჟში სარდაფები და ოთახები; მე-ორეს ეტაჟში აქვსი ევროპიული წმინდა ოთახი, ევრო-პიულად გაწყობილი და ევროპიულად მოკაზმული; უკანა მხრივ, კლდეში გამოჭრილი თითქმის ორმოც ბიჯზედ საყინულე; კჳალად აქაც გვერდზედ მარნნი, რომლისა შუა ჩაყრილია მწკრივად ქვევრები.—ბევრი განძრახვა აქჳს,

და გვალვად უმატებს, მაგრამ რადგანაც ყოველი ამ გვარი საქმე მოითხოვს ღონის ძიებას ეს დიდად უშლის; სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ვისგანაც შესაძლო. ყურადღებას არ აძლევენ ამ გვართა ადგილ-მამულის მოყვარეთა.—თვითან ეს ზვარი და ყოველივე მდგომარეობა იმ ღონისძიებით არის ამ მდგომარეობაში მოყვანილი, რომ თუ არ მხნე და მოსიყვარულე კაცს, ყოვლად შეუძლებელია ძალიანი კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ზოგი ერთს გარემო სოფლების მებატონეებს მიებაძვათ ამ მამულის მართვისათვის.—ისევე ღონის-ძიება და იქნება ნაკლულიც ჰქონია ამ ჩვენს თ. დიმ. აფხაზსა პატივი და დიდება ამ გვარ მეცადინეობისა და მხნეობისათვის.—კეთილშრომა არასოდეს არ დავარდების ამ სახლების ეზოში, ცოტა ცოტა დაბლა, დგას ჩინებული კარის ეკლესია, აღშენებული თვითან თ. დიმ. აბხაზისაგან. ჰსჩანს კეთილს გრძნობას და კეთილს სარწმუნოებას, არ დაუტევებია სალმრთო ვალიც. ერთის მხრივ გამოუჩენია სოფლის ზრუნვა და მეორეს მხრივ შეუწირავს თავისი ძვირფასი შრომა სამღრთო მოვალეობისათვის.—დავანებოთ თავი აფხაზის ზვარს და მოვიხსენიოთ, რომ გაჩნსამკოთაცვე მიუყვიათ ძელი ადგილ-მამულის მართვისათვის: ძნელად არის იმ გვარი თავადისშვილი რომელსაცა არა ჰქონდეს ქვიტკირის ორი და სამი ეტაჟიანი სახლები. ცხადათ ჰსჩანს მიბაძვა და ეს სიკეთე დიდს კეთილს შემოძღვნის მიზეზს. მცხოვრებნი იქნება ხუთასი მოსახლე გლეხი. ამ სოფლის პირში, ხეობაში დგას ჩინებული გუმბათიანი წმინდა საბას მონასტერი.—ეს მონასტერი იმით არის შესანიშნავი, რომ ირაკლი მეორის გადაცვალებამდის, ყოფილა აქ სასწავლებელი, სადაცა იზრდებოდნენ მრავალნი კასთა თავად აზნაურნი და საიდგანაც მრავალნი გამოდიოდნენ გან-

ვითარებულნი და ნასწავლნი კაცნი.—ბევრნი აქ ნასწავლნი ბერებთაც დგებოდნენ და ბევრნი უკანასკნელში მღჳდელ მთავართაცა შეიქმნებოდნენ ხოლმე.

---

## დამტება. №-2- №-3.

მესამედ სრულიად კახეთში ოდესაც ვენახებს აშენებენ ყოველს თჳთეულს ვაზს მეხის ხის ჭიგვას უდგმენ—წოდებულს მერქნად, ვისაც შეძლება აქ̂უს.—და ეს მერქანი გასძლებს ექ̂უსის წლიდამ ათს წლამდინ—და რომელთაც შესძლება არა აქ̂უსთ ყოვლის უბრალოს ხის ჭიგვებს ეხიდებიან ტყებიდამ და იმაებს უდგმენ ვაზებს და ეს გვარნი ჭიგვანი ყოველს წელს მილპებიანო მიწაში და ამისთჳს. ყოველის წლის თავს უნდა გამოიცვალონდა ხელ ახალნი ჭიგვანი შეუდგონ და ოდესაც პატრონნი ვარდება სრულს შეუძლებლობაში და ანუ ეზ̂დება, მაშინ შეუდგეთ დანაშთენთა მისთა მემკჳდრეთა ჭიგვის შედგმა რომ აღარ ძალუძსთ და ვენახები უჭიგოთ რჩება სრულებით ოხრდებიან ვენახები, ამ გვარის მიზეზებით აოხრებულნი ვენახნი ყოველს სოფელში იხილვებიან არა მცირედნი ნაწილნი,, უმეტესად მისთჳს რომ მრავლის ვენახების გაჩენის გამო ტყეებში საჭიგვე ხეები თითქმის აღარცკი იშოვებიან ახლოს ალაგებში. რადგან ტყეებს არ უფრთხილდებიან და საჭიგვე ხეებს არ ამრავლებენ... და ესრედ უკუნ საქცეველად ესე გვარის თვალთ ხილულის აოხრებისა ეს მოვიგონე ორი ღონისძიება. პირველად

ოდესაც პატრონმა ისურვოს ახლის ვენახის აშენება, და როგორ ვაზი და ვაზიდამ გადაზომოს ორი საჟენი სიგანე და დარგოს ფურცლისა ანუ იფნის ხე. და იფნისა ანუ ფურცლის ხე რომ გაიზრდება ვაზი ზედ აუშოს. და ყოველ წლივ ხეს თავს მოსჭრიდეს და ზევით ნუ გაუშვებს და დააყენოს იმ სიმაღლეზედ რომ საქონელი ვერ შესწვდეს და ვაზი ვერ მოსჭამოს ანუ სკამზედ რომ ვაზი გასხლას და საყურძნე რქები ხის ტოტებზედ მიაკრა, და თუ ფურცლის ხეებს დარგამს ხომ ორ გვარი სარგებლობა იქმნება, ამიტომ რომ ფურცლის ხის ფოთოლს მოკრეფავს და აბრეშუმის ჭიებს აღზრდის და შემდეგ ყურძენს მიიღებს მისივე ხიდამ რასაკვირველია რომელნიმე იტყვიან ხეზედ ასული ვაზი კარგს ღვინოს არ დააყენებსო. ამის ღონისძიება კიდევ ეს არის რომ ხის ვაზსაც კარგი ღვინო დადგეს, უნდა დააცალოს და ოდესაც თრთვილმა ხის ფოთოლი ჩამოყაროს პატრონმა მაშინ დაკრიფოს ყურძენი და თავ დააკლდება რომელიმე ნაწილი ის ნაკლულება დიდათ მორს დაუდგება იმ ზარალს რაც ჭიგვით შესამუშავებელს ვენახს ხარჯი უნდება, ამიტომ რომ პირველათ რომ პატრონი მოსჭრის ჭიგვის უნდა მოიტანოს გაჩეხოს შეუდგას და შეჰკონოს და შემდეგ ოდესაც ყურძენში თუალი შევა მანამ დაკრეფავს სამჯერ და ოთხჯერ მეტათ კიდევ ხელახლად უნდა შეჰჭიგვოს რადგან დიდნი ქარიშალნი ყოველთვის მიწაზედ დასცემენ ხოლმე ყურძნის ვაზებს ჭიგვიანათ და ხეზედ ასულს ვაზს რაც პირველი გასხვლა და ტოტებზედ რქების მოკვრა არ მოუნდება სხუა მუშაობა არარა უნდარა ყურძნის დაკრეფის მეტი, რომელსაცა დააყენებს ისე არჩევით, როგორც მე ავწერ შემდეგს წიგნებში. და მეორედ, უკეთუმცა ვენახის მუშათ ხეებზედ

ვაზის აშვების არ ისურვონ მაშინ ყოველს ახლად ასაშენებელს ანუ მჭმელს ვენახს მეოთხედი წილი სივრცისა რაოდენიც არის სავენახე მიწა მოუხნან და შემოდგომაზედ დათესონ მაშინა იფნის ხისა ანუ თუთის თესლნი და რომ აღმოვიდნენ გათოხნონ ხოლმე ორჯელ და სამჯელ და ექვს წელს საჭიგვე ტყე იქმე გაუმკეთდება ვენახს, და რადგან იფნისა და თუთის ხის ჭიგვა მერქონსავით სძლებს მიწაში და თითქმის ექვსსა და ათს წლამდის ერთი თუთისა ანუ იფნის ჭიგვი ეყოფა ერთს ვაზს ამისათჳს ესე ცოტა ნაწილი ტყისა სრულებით ეყოფა ვენახს საჭიგვეთ და მინამ პირველი ჭიგვი დალპება მინამ იმის მონაჭერზედ ექვსი და შჳდი ახალი აღმოზრდილი ყლორტი გაისდება საჭიგვეთ, და ამ გვარათ აშენებულნი ტყიანნი ანუ ხეებზედ ასულნი ვენახნი იქმნებიან საუკუნოდ წაუხდენელნი.,

გაგრძელება მეოთხეს ნომერში.

თ. სოლ. გურგენიძე.

## ღონისძიება განმრავლებად ხეხილთ ხეებისა მონაჭრებიდამ.

მოიღეთ კარგის ხეხილის მონაჭრნი ტოტები და ქვემო ბოლო მისი ჩაურჭეთ კარტოფელში და ჩანერგეთ მიწაში, ასე რომ ზევითი თავი მონაჭრის ხეხილის ტოტისა იყოს მიწას ზევით მხოლოდ ორს გოჯზედ... ამ გვარათ ხეხილთ ნაჭერთ კარტოფელი დაიფარავს

გახმობისაგან კიდრემდის მიწაში ფერსვებს გაიდგამენ. და შემდეგ დაიწყებს გარდას და შეიქმნება სრული ხე..

## ხეხილთ ხეების დაფარვა გაზაფხულისა და ღამის დაძრობისაგან.

მოიღეთ სელის ზეთი და ხეხილის ხეებს, მანამ კოკორი გამოუშვიდოდეს ძირით ან ფერსვები აქჳსთ შესგარეთ სელის ზეთით. ესე გვარით ღონისძიებით ხეხილის ხეები აღარ დასძრებიან და მოსცემენ მომატებულს კარგს ნაყოფს.

თ. სოლ გურგენიძე.

---

# გმირული ნაძვი.

კალიფორნიის მაზრაში. არის ნაძჳ, რომელიც ირიცხება თჳთ უდიდეს ხედ ქვეყანაზედ. მახლობლად მიწისა სიმრგვლე მისი არის ცამეტ საჟენზედ მეტი; რომელიც შეადგენს სიგანეს თორმეტ ალაბ ნახევარა. ნახევარს საჟენს ზევით სიმრგვლე მისი არის თორმეტ საჟენ ნახევარი და ორ საჟენ ზევით არის ოცდა ექჳსი ალაბი; ხოლო იმას ზევით ხე თან და თან წვრილდება. სიმაღლე იმისი არის ორმოცდა ერთი საჟენი, და სრულიად ხე არის მშჳნიერი მოყვანილი და სწორი; ეტყობა ის არის სრულს ძალაში და ყვავილოვანს წლოვანებაში, თუმცა იგი არის **2320** წლისა. ამერიკელებმა მოიხმარეს ველური ბარბაროსობა, შემოაძრეს იმ ხესა ქერქი სისქით ნახევარ ალაბი და სიგრძით შჳდი საჟენი და წაიღეს ნიუიორკში საჩვენებლად.

ს. მესხი.

## ბუნებითი სიმდიდრე ველიკო ბრეტანიისა.

აღრიცხვისამებრ ანგლიის სტატისტიკოსის გუნტისა, სამასი ათასი კაცი მუშაობს ანგლიის მადნებში, მარტო ქვის ნახშირის მადანი ითხოვს მრავალს მუშის ხელსა, იმ მადნებს შემოაქჳს სამოცდა ხუთი მილიონი ტონნი ნახშირი, ღირებული თუთხმეტ მილიონ გირვანქა სტერლინგათ. კალა წელიწადში ამოაქჳს მადნიდგან შჳდი მილიონი გირვანქა სტერლინგისა. ხჳილენძი ერთ მილიონ ნახევრისა. თუჯის ზავოდები მრავალი არის და თუჯს აკეთებენ ათ მილიონ გირვანქა სტერლინგისას. თჳთ შესანიშნავი თუჯის ზავოდი არის მერტის ტიდვილაში ოცდა ხუთი ათასი მუშით, რომელშიაც მოქმედებს ას ორმოცდა ათი ფეჩი.

ა. ჩხეიძე.

---

## სხჳა და სხჳა ანბავი.

აჲ რასა ჰსწერენ ერთს გაზეთში.—უწარჩინებულესს ისპანიის ფოტოგრაფიის, (პორტრეტების გადმომღებსა) ამ ახლოს ხანში გადმოუხატავს მთვარის სახე, ყოვლის სისრულით და სისწორით. ეს ახლად გადმოღებული მთვარის კარტა გაჩვენებთ, რომ ეს ერთი ცის-მნათობთაგანი მოკლებულია წყალსა და ჰაერსა. მთვარეში მდებარეობენ მთები, სიმაღლით 28,000 ფუტამდინ და იმათ შორის არიან იმ გვარნი მთაებიცა, საიდგანაც ამოდის ცეცხლი. ეს მთვარის კარტა არის სასიამოვნო სანახავი.

სრულის სისწორით გაჩჳჱნებთ, რომ მთჳარეში არიან ვრცელი ტყეები, ამ ტყეებში დგანან დიდის ხნის ხეები, რომელნიცა ახლა გაქჳავებულნი არიან. ეს გვიმტკიცებს, რომ თავის დროზედ მთვარესა ჰქონია იმ გჳარი ჰაერი, რა გვარიც ჰაერი ჩჳჱნა გვაქჳს. ამასთანავე წყალი და ნამი.—

კიდევ უწყება კუდიან ვარსკჳლავზედ.—ოკტომბრის დასაწყისში სრულებით მიიმალა კუდიანი ვარსკვლავი, რომელმაც პირველს იჳნისში განაღჳძა დიდი ცნობის-მოყჳარება მთელს ევროპაში, თავისის უცებ და საკჳრ-ველის გამოჩინებითა. დიდ ხანს იხილვებოდა ისე თჳა-ლითაც და შემდგომს ისინჯებოდა ვარსკვლავთ მრიცხ-ველთაგან ტელესკოპებით (დურბინდებით), ახლა ტელეს-კოპშიაც ველარ იხილვება. ეს კუდიანი ვარსკჳლავი, რო-გორც ამტკიცებენ ვარსკვლავთ მრიცხველნი, გამოჩნდება და დაუახლოვდება მზესა, ათას ხუთას სამოცდა რვის წლის შემდგომს. როგორც სრულებით უცნობი, ის კუდიანი ვარსკვლავი გამოგვიჩნდა ჩჳჱნ უცებ, რა გან-შორდა მზის შუქს, იმისი გრძელ სხივიანი კუდი ყო-ველთა ვარსკჳლავთ მრიცხველთა თავიანთ ტელესკოპებით, მიაქცივს იმ წამსვე დიდი ყურადღება და სიამოვნებდენ, როგორის მიმართულებით დაეცემოდა სხივი, გამომხდა-რი კუდიანის ვარსკვლავისაგან, მზის სხივთა. თუმცა მოულოდნელად აღმოგვიჩნდაო, იძახიან ერთხმად ვარს-კჳლავთ მრიცხველნი, მაგრამ მოვასწარით გამოძიებას და დავმატეთ სწავლასა, ერთი უმთავრესი ცნობაო. იმ კუ-დიანმა ვარსკვლავმა განადიდა სწავლა, საიდუმლო ცის სხეულთ ნაწილში. ისინჯებოდა ეკვატორის მეორე მხრი-ვაც. ახლა არის ცნობა სიდნეის, ვილამსტოუნის, რიო-ჟანეირის და ხან-იაგო-დი-ჩილის აბსერვატორიით

გან (*) სულ პირჳელად დაუნახავს ცაზედ, ერთს ჰსწა-ვლის მოყვარეს ბ. ტებბოტს, სიდნეის ქალაქითგან მარ-ტის **13**, ტელესკოპის საშუალობით, ხოლო იჳნისის **8** იხილვებოდა იქიდგან სადა თვალითაც, როგორც მეო-თხე ზომის ვარსკჳლავი. ბრაზილის გამომძიებლობა დაიწყობა იჳნისის **11**-დამ, და კუდი იმისა ჰსჩანდა იქიდგან სიგრძით ორმოც გრადუსამდენ, (ცის გრადუსი შეეთანასწორება ორს სრულს მთვარისას).—აქამდისინ ვიცნობთ **235** კუდიან ვარსკჳლავთა, რომელთაცა გამო-ჩენა ჩაწერილი გვაქჳს. იმათგანი **28**, არიან ისინი, რო-მელთა დროს გამოჩენა ჩჳენ ვიცით და **28** იმ გვარნი, რომელთაცა დროს განსაზღვრა სწორეთ ჩჳენ არ ვიცით. რადგანაც გამოჩნდებიან ხოლმე, ას ოცდა ცხრა წელიწადში ერთხელ. სხჳებისა კი ვიცით, ჩჳენ შჳლის-შჳლთა შეუ-ძლიანთ, უკეთუ განვრცელდა ჰსწავლა, მრავალთა ამ გვართ კუდიან ვარსკვლავთა არსებობა და მომდინარეობა.—

---

(*) ობსერვატორია ჰქჳა, იმ სახლს, სადაცა უწყვიათ ვარსკჳლავთ მრიცხველთ სხჳა და სხჳა იარაღები, ცის სხეულთათჳს შემზადებული და, საიდამაც სინჯამენ ცის პლანეტთა. ამ გვარს სახლებს აკეთებენ ხოლმე უფრო მომაღლოს ალაგს.—

რედ.

# დიდი მარილის ტბა ამერიკაში.

დიდი მარილის ტბა სამხრ. ამერიკაში ღირსი არის შენიშვნისა: ეს ტბა მდებარეობს ახალს კალიფორნიაში შორის **40** და **42** გრად. ხამხ. შიგ. და არა ვითარი შეერთება არა აქჳს ოკეანთან. ეხლა იმისი სივრცე არის ოთხას ვერსამდინ, და ძველათკი უთუოთ მეტი ყოფილა. ნიშნები უწინდელთა ცეცხლის მთების ცვლილებათა აჩჳენებენ, რომ ის ყოფილა უწინ უფრო ვრცელი და მიწევნილი უტახის ხეობამდის.

წყალი იმ ტბისა არის ანკარა ცისფერისა, ჩრდილოეთიდამ სამხრეთისაკენ მეორე ნაპირი არა სჩანს თითქმის მთიდამაც, ასე რომ ძლიერად მოაგონებს კაცს ზღჳასა, სიღრმეკი დიდი არა აქჳს; თჳთ ღრმა ადგილი ერთს საჟენს არ აღემატება. შუა ტბაში არიან რამდენიმე კუნძულნი, და იმათზედ კლდეები, ზოგი ერთი იმათგანის სიმაღლე არის ხუთასი საჟენი.

ტბაში ეხლა არა სჩანს არც ერთი ნავი, თუმცა იქაურნი მცხოვრებნი არწმუნებენ, რომ ძველათ ინდოელნი უტახლები სცურავდენ მასში დიდის ნავებით. წყალი ტბისა ისე სქელია, რომ კაცი არას გზით იმაში არ დაირჩობა. ჩჳენ ვსინჯეთ, სწერს ნატურალისტი ჟიულ ფრემი, და წოლა წყალზედ და დავყავით იმ მდგომარეობაში ძრიელ დიდს ხანს თჳნიერ ყოვლის მოძრაობისა.

შეიძლებოდა გამოძიება წყალზედ უფიქრელად დასრჩობისა. ამ სისქის გამო წყლისა იმაში ვერა ვითარი ცხოველი ვერ გასძლებს თუ მახლობელთ ღელეებთაგან, რომელნიც მას ტბას ჩაერთჳან, ჩავარდნილა როდისმე თევზი მსწრაფლ მომკუ̂დარა.

ტბის კიდეები, მეტადრე სამხრეთისაკენ დაფარულ არიან სქლათ მარილითა. როდესაც ჩუ̂ენ იქ ვიყავით ვნახეთ ერთს ალაგს გუნდი კალიისა, რომელიც დიდს სივრცეზედ სქლათ იდვა ტბაზედ. ეს ბოროტი მავნე ცხოველი ჩაეყარა ტბის დიდს ქარსა და იქ შიმშილით დახოცილ იყო.

ალავიძე.

---

**336** გვერდზედ დაბეჭდილი: «როდესა» გთხოვთ წაიკითხოთ «რომელსა.»